ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2017 №266 (7501) ფასი: 50 თეთრი

დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილი უკრაინაში წარმატებას მიაღწევს“

გვ.2

9 ნოემბრიდან

ალექსანდრე ელისაშვილი

თბილისის თავგადასავალი





წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„კალაძე ისე დარბის, პრემიერობას ან პრეზიდენტობას უმიზნებს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „საღამოს 10 საათის შემდეგ თბილისი ტაქსების ამარა რჩება“

„თბილისის მაჟორიტარების ბიუროებზე 6 მილიონი იხარჯება“

გვ.2

დავით ქაცარავა: „ანზორ სვიანიძის გარიცხვისთვის ქუთაისის მედია სკოლას ლიცენზია უნდა შეუჩერდეს“

გვ.4

„ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ“

ლევან ხაბეიშვილი: „ია მაკასარაშვილის ბიუროში ცოლმა ქმარი უარყო“

სამართალი გვ.7

ადვოკატი: „გოგა ონიანი მზადაა, ამ უკანონო პატიმრობას გაუძლოს“

მალხაზ ველიჯანაშვილი: „მეგის ქარდავა ნაცემია და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

ჯარჯი წიკლაური: „გამოძიებას აქვს მტკიცებულებები, რომ სააკაშვილი პატარკაციშვილს ძალის გამოყენებით დაემუქრა“

ეკონომიკა გვ.6

რომან გოცირიძე: „დააბრუნონ ბანკებმა ხაზინიდან წაღებული ფული და ლარის წიოკობაც დასრულდება“

ნოდარ ხადური: „არის მოსაზრებები, რომ გაიზარდოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება“



„არ არის გამორიცხული, ფაროსანა კახეთის რეგიონშიც გავრცელდეს“

ISSN 1987-9385

6 ფიზიკურ პირებზე 100.000 ლარამდე სესხის სხვა ვალუტაში გაცემა, შესაძლოა, დასჯადი გახდეს

5 რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ეროვნულ უმცირესობებს ამხედრებს

6 რა ღირს ბინის დაგირავება თბილისში

7 რატომ არ აწერს ხელს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების დანიშვნის საკითხს

დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილი უკრაინაში წარმატებას მიაღწევს“

„ქართული რეალობის მიმართ ის სრულიად არაადეკვატურია“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უკრაინიდან შესაძლო ექსტრადიციაზე საუბრობს.

– ბატონო დავით, მოხდება სააკაშვილის ექსტრადირება?

– სამართლებრივად რთულად არის საქმე, როგორ უნდა მოხდეს გადმოცემა, როდესაც არც საქართველოს მოქალაქეა და არც უკრაინის.

– საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახლა პოროშენკოსთვის ყველაზე ხელსაყრელი დროა სააკაშვილის მოსაშორებლად. იზიარებთ ამ პოზიციას?

– „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ საერთაშორისო ურთიერთობებზე, რა არის სახელმწიფო და სახელმწიფო ინტერესები. ახლა მხოლოდ სააკაშვილის ციხეში ჩასმა გვაკლია, რომ საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი კიდევ უფრო განმტკიცდეს. ჩათვალეთ, რომ ეს ძალიან მძიმე იქნება სახელმწიფოს იმიჯისთვის და ამ ხელისუფლების იმიჯისთვის. ამას ვამბობ მიუხედავად იმისა, რომ მე ეჭვი არ მეპარება, რომ სააკაშვილსა და მის რეჟიმს ნამდვილად აქვს დანაშაული ჩადენილი.

ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობებში მძიმედ აღიქმება ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტების დაპატიმრება და ციხეში ჩასმა თუ ამას არ ახლავს ძალიან მკაფიო, წყალგაუმტარი, ეჭვგარეშე მტკიცებულებები. გარკვეული პროცედურებიც უნდა იყოს დაცული და გარკვეული დროც უნდა იყოს გასული. ეს საერთოდ ძალიან ფრთხილად გასავლელი გზა არის, თან ძალიან მაღალ დონეზე უნდა იყოს მომზადებული პროცესი, როდესაც მსგავსი დონის საქმეების აღძვრა ხდება.

ახლა, როდესაც აშკარა პოლიტიკური ინტერესი არსებობს, როდესაც სააკაშვილი უკრაინაშიც ხელისუფლების ოპოზიციაა და საქართველოშიც ხელისუფლების ოპოზიციაშია, ამ შემთხვევაში მისი ციხეში ჩასმა დარტყმა იქნება არა იმდენად სააკაშვილისთვის, არამედ ჩვენი, საქართველოს სახელმწიფოს იმიჯისთვის და ამ ხელისუფლების იმიჯისთვისაც.

სააკაშვილის საქმიანობა გამოძიებული რომ უნდა იყოს, ამაზე არ არის საუბარი. მას ნამდვილად აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმ საქმეებზე, რაც ხდებოდა მისი პრეზიდენტობის დროს, მაგრამ ამისთვის სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი.

– გაცნობიერებული თუ აქვს ეს პასუხისმგებლობა ხელისუფლებას?

– ვიღაცებს აქვთ გაცნობიერებული, ვიღაცებს – არა. ყოველ შემთხვევაში, თუ შინაგან საქმეთა მინისტრის საუბარს გავიხსენებთ ე.წ. პრანკერებთან, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ასეთი მარტივი არ იქნება.

პირადად საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვიდეს, ციხეში არ იჯდეს და თავისუფლად იაროს. ვერანაირი დესტაბილიზაციის საფრთხეს მე მის პერსონაში ვერ ვხედავ, ის იმდენად არაადეკვატურია ქართული რეალობის მიმართ, რომ სრულიად წარმოუდგენელი მგონია, რომ მან შეძლოს რამის მიღწევა.

– რადგან საქართველოში მხარდაჭერა არ აქვს?

– მხარდაჭერა როგორ არ აქვს, საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა აქვს მოსახლეობის სერიოზული ნაწილისგან, მაგრამ ეს მხარდაჭერა არ არის საკმარისი ხელისუფლების შესაცვლელად. მოსახლეობის მეორე ნაწილი, უფრო დიდი ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგია სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრუნების. ამდენად, ის ხელისუფლებაში ვერც ერთ ვარიანტში ვეღარ მობრუნდება, არჩევნებს ვერ მოიგებს, გადატრიალებასა და რევოლუციაზე მისი მხრიდან საუბარი სასაცილოც აღარ არის. ამიტომ, პრობლემას ვერ ვხედავ, რომ საქართველოში იყოს სააკაშვილი.

დევნილობის იმიჯი, რომ მას უსამართლოდ დევნიან, რომ მხოლოდ პიჯაკებზე და ყავის ფულისთვის დევნიან, მის წისქვილზე ასხამს წყალს, ჩვენ კი ცუდად წარმოგვაჩენს. უკეთესი იყო, აქ ყოფილიყო, ეყვირა, ეჩხუბა, გამოსულიყო და ყველა ნახავდა, რომ ყოფილი პრეზიდენტია, ჰყავს მომხრეები, მაგრამ სიტუაციას ვერ შეცვლის.

– უკრაინაში შეცვლის? მან თქვა, რომ „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდს აგონებს უკრაინაში ახლანდელი ვითარება.

– უკრაინის მიმართ სააკაშვილი ბევრად უფრო ადეკვატურია. ამაში ვეთანხმები, მართლაც ჰგავს. უკრაინაში სააკაშვილი მართლაც გამოირჩევა სხვა პოლიტიკოსებისგან. უკრაინის პოლიტიკური ელიტა პოსტსაბჭოთა გაურკვევლობაში ჩარჩა დიდხანს. სააკაშვილი სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან შედარებით გამოიყურება

როგორც „ბარსელონა“, რომელიც საქართველოს ჩემპიონატიდან რომელიღაც მეორე დონის გუნდს ეთამაშება. თუმცა, საქართველოსთან მიმართებით, აქაურ რეალობასთან მიმართებით, სააკაშვილი საკმაოდ ჩამორჩენილია. ის ჩარჩა ძველ რეალობაში და ამ რეალობას წარსულიდან უყურებს.

– უკრაინაში სააკაშვილის ფინალი როგორი შეიძლება იყოს?

– ვერ გეტყვით. ერთი ვიცი, რომ ვარიანტი არ არსებობს, სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მობრუნდეს. უკრაინაში კი რაღაც შანსები აქვს. უკრაინაში თუ ცვლილებები იქნება, აუცილებლად მისი მონაწილეობით იქნება, მაგრამ სად იქნება, არ ვიცი. იქნება ერთ-ერთი პოლიტიკოსი თუ მეტს მოინდომებს, ვერ გეტყვით.

– პრეზიდენტობა არ მინდაო.

– ამას ახლა ამბობს, ხვალ რა მოუნდება, კაცმა არ იცის.

– იუშჩენკომ ფეისბუკის პირად გვერდზე დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

– გამორიცხული არ არის, რომ იუშჩენკო მართლაც დაბრუნდეს.

– შეიძლება სააკაშვილი გზას უკაფავდეს?

– შესაძლებელია, ახლა ისეთი გარემოა შექმნილი უკრაინაში, რომ მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება სულაც არ არის გამორიცხული.

ლევან ხაბეიშვილი: „ია მაკასარაშვილის ბიუროში ცოლმა ქმარი უარყო“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი უკვე წლებია მაჟორიტარების ბიუროებში არსებულ დარღვევებზე საუბრობს. მან არაერთი სკანდალური მასალა გამოაქვეყნა, რამდენიმე თვის წინ კი ჟურნალისტებთან ერთად ამ ბიუროებსაც ჩაუქროლა ქორივით.

ანტიკორუფციული სამსახური ამ საქმეებით მხოლოდ ახლა დაინტერესდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ხაბეიშვილს გამოკითხვაზე უხმო. საკრებულოს ახალარჩეული დეპუტატის გამოკითხვა 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. სუს-ის თანამშრომლებს მან სათანადო მასალებიც მიუტანა.

მიიყვანს თუ არა ანტიკორუფციული სამსახური საქმეებს ბოლომდე, რა ხდება მაჟორიტარების ბიუროებში, რამდენი მილიონი უჯდება ბიუჯეტს მათი შენახვა, რა ინიციატივას დააყენებს ოპოზიცია საკრებულოს პირველ სხდომაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– როგორც იქნა, ანტიკორუფციული სამსახური დედაქალაქის საკრებულოს 3 მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროების საქმიანობით დაინტერესდა. აქედან ერთი „ოცნების“ აქტიური სახე ია მაკასარაშვილია. ხოლო ორი – გიორგი მუსხელიშვილი და ლევან დარახველიძე ახალ საკრებულოშიც არიან წარმოდგენილი.

სუს-ის თანამშრომლებს კონკრეტული კანონდარღვევების შესახებ მასალები გადავეცი. მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებში არსებული კორუფციის შესახებ ფაქტები იმდენად მყარია, რომ შეუძლებელი იყო, არ დაწყებულიყო გამოძიება.

ანტიკორუფციულის თანამშრომლებსაც ვუთხარი და თქვენთან საუბარშიც გავიმეორებ, ია მაკასარაშვილის შემთხვევაში დგინდება, რომ მას დეპუტატობის პირობებში ბიუროში გაფორმებული ჰყავდა მისი მეუღლე, შვილი კი – საკრებულოში.

ასევე ირკვევა, რომ მაკასარაშვილის ბიუროში მუშაობდა ცოლ-ქმარი. მოგვიანებით ცოლს ქმრის უარყოფა მოუწია. თავის ქმარზე ამბობდა, არ ვიცი, ეგ ვინააო.

დარახველიძის ბიუროში ოთხი თანამშრომლიდან ორი ერთმანეთს არ იცნობს. რაც სრული აბსურდია. როგორ შეიძლება 20 კვ.მ. ოთახში 3 წელი იჯდე და იქ მყოფ თანამშრომლებს არ იცნობდე. აშკარაა, რომ არ დადიან

„თბილისის მაჟორიტარების ბიუროებზე 6 მილიონი იხარჯება“

ისინი სამსახურში.

ვაკის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი მუსხელიშვილის ბიურო რიგ შემთხვევაში დახურულია. კარზე აქვთ ხოლმე მიწერილი გასულები ვართ და ამა და ამ ნომერზე დაგვირეკეთო. არადა ეს ბიუროები იმიტომ არის, რომ ამომრჩეველს დეპუტატთან კომუნიკაცია გაუადვილდეს.

მარტო ეს ფაქტები იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ კონკრეტული ადამიანების მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა.

– თქვენ ამ თემებზე დიდი ხანია საუბრობთ, მაგრამ ანტიკორუფციული სამსახური აქამდე ამით არ დაინტერესებულა. ახლა რა შეიცვალა?

– ვერ გეტყვით. თუ მართლა უნდათ საქმის გამოძიება, დასჯიან კონკრეტულ დამნაშავეებს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ზურაბ ნეფარიძის ფაქტი. რამდენიმე თვის წინ თბილისის საკრებულოს მოქმედი დეპუტატი დააკავეს. თქვეს, მის ბიუროში კორუფციას აქვს ადგილი. შვილის შეყვარებული ყავს სამსახურში გაფორმებული და მისი სახელფასო ბარათი თავად უდევს და „ატკატებს“ აქვს ადგილი.

ასეთ ფაქტებს ყველა მაჟორიტარის ბიუროში ჰქონდა ადგილი. ეს რომ ასე იყო, მაშინაც გამოჩნდა, ბიუროები რომ დავამონიტორინგეთ. არ არის გამორიცხული, ამ საქმეების გამოძიება იმიტომ დაიწყეს, რომ შემდეგ პოლიტიკური მანიპულაციებისთვის გამოიყენონ.

– რა მანიპულაციებისთვის?

– მაგალითად, ია მაკასარაშვილს თუ ზედმეტზე გაუჩნდება პრეტენზიები, ამ საქმეს გადმოუღებენ და გააჩერებენ.

სამწუხარო რეალობაა, რომ ძალოვანი უწყებები პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაიქცა. ეს რომ ასეა, ეს გოგა ონიანის დაკავების ფაქტმაც დაადასტურა. ექვსმა კაცმა დაიჭირა კონკრეტული პირი. აქედან ერთს ჯილდოც კი მისცა ამ ხელისუფლებამ და რატომღაც ონიანი დააკავეს მხოლოდ. თუ დანაშაული მოხდა, რანაირად შეიძლება, რომ იქედან 5 მართალი იყოს და მხოლოდ ერთი დამნაშავე?

პირდაპირ გეუბნებით, მაჟორიტარების ბიუროებთან დაკავშირებით

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძე ისე დარბის, პრემიერობას ან პრეზიდენტობას უმიზნებს“

შორენა მარსაგიშვილი

ლაშა ჩხარტიშვილი: „საღამოს 10 საათის შემდეგ თბილისი ტაქსების ამარა რჩება“

რატომ იზრდება უბილეთოდ მგზავრობაზე ჯარიმები, რას უკავშირდება კახა კალაძის აქტიური სირბილი ქალაქში, რა ჩანაფიქრი აქვს ივანიშვილს, რა საფრთხის წინაშე დადგება აღმოსავლეთ საქართველო გაზაფხულზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

– ლაშა, ავტობუსით უბილეთოდ მგზავრობაზე ჯარიმა იზრდება და 20 ლარი ხდება. ამან საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ჯარიმის გაზრდა არის არაჰუმანური. უბილეთო მგზავრების დიდი ნაწილი ბილეთს იმიტომ ვერ ყიდულობს, რომ ამის ფული არ აქვს. ამას რომ თავი დავანებოთ, ჯარიმის თანხის გაზრდა არაფექტური იქნება.

5-ლარიანი ჯარიმა სავსებით ნორმალური იყო, რადგანაც გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი პრობლემურია. აქედან გამომდინარე ჯობდა, ხშირად იქნას გამოყენებული 5-ლარიანი ჯარიმა, ვიდრე – 20-ლარიანი იშვიათად.

მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ნორმალური ადამიანები არიან. მათ 5-ლარიანი ჯარიმის გამოწერაც უჭირთ და 20-ლარიანი ჯარიმის გამოწერა კიდევ უფრო გაუჭირდებათ.

გარემოს დაბინძურებაზეც დაწესებულია ჯარიმა. ნახევარი წლის მანძილზე სულ 3.000 ლარი ჯარიმაა გამოწერილი. ეს ძალიან ცოტა თანხაა იმ ქალაქისთვის, სადაც ბევრი ვერ ხვდება, რომ ქუჩაში არაფერი დაყაროს. ჯობდა, 20-ლარიანი ჯარიმა დაეწესებინათ და ბევრი დაეჯარიმებინათ. უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმის გაზრდა, ჩემი აზრით, პირუკუ შედეგს გამოიღებს.

– აბა რატომ ღებულობენ ამ გადაწყვეტილებას?

– ადეკვატური იდეებით ეს ხელისუფლება არასდროს გამოირჩეოდა. შესაბამისად მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც არც ჰუმანურია და არც – ეფექტური. ავტობუსებზე რაკი მიდგა საქმე, უმჯობესი იქნებოდა, ამასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემების მოგვარებაზე ეფიქრათ.

არჩევნების წინ ბევრს საუბრობდნენ ახალი ავტობუსების შემოყვანაზე.

უმჯობესია, თანამედროვე ავტობუსები შემოიყვანონ და მორიგე ავტობუსები დაამატონ, რომლებიც ღამით იმოძრავებენ. სამწუხაროდ, მიკროავტობუსებიც ძალიან ადრე ამთავრებენ მუშაობას. ხშირად ვსარგებლობ საზოგადოებრივი ტრანსპორტით და კარგად ვიცნობ ამ პრობლემას. სადღაც 22.00 საათის შემდეგ, თბილისი ფაქტიურად ტაქსების ამარა რჩება. უცნაური გადაწყვეტილებების მიღებას, ჯობდა, ამაზე ეზრუნათ. ძალიან ცუდი იქნება თუ კალაძე ჯარიმის გაზრდით დაიწყებს მერობას.

კალაძის ფეხით სირბილზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. აშკარაა, რომ ეს პრობლემების გაცნობას არ უკავშირდება. მისი ქმედებები მახსენებს სააკაშვილს. ისიც ასე დარბოდა და მერე ვნახეთ, რომ მეტროდან ძალიან მალე მივიდა 2 თვითმფრინავამდე.

– სააკაშვილი ახსენეთ და მან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიარული მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა.

– ეს ნაცადი ხერხია და ამით ვეღარავის გაასულელებენ. ამ მიმართულებით უკვე გვაქვს მწარე გამოცდილება. კალაძის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიარული და აქტიური გარბენები ქალაქში მიუთითებს იმაზე, რომ ის თბილისის მერობას არ დასჯერდება. ახლო მომავალში, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით, მას პრემიერის ან პრეზიდენტის თანამდებობაზე ვიხილავთ.

სამწუხაროდ, საქართველოში ივანიშვილის ნების გარეშე არაფერი ხდება. იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება მომავალში მაინც არ გაივლის მის ჭკუაზე. ეს რომ ასე არ მოხდეს, ამისთვის ჩვენც მოგვიწევს ბევრი სირბილი.

– კალაძისთვის მერობა არ არის საკმარისი? თბილისის მერობა პატარა ამბავი არ არის.

– თბილისის მერობა პატარა თანამდებობა არ არის, მაგრამ ადამიანებს განდიდების მანია აწუხებთ, გამონაკლისი ამ მხრივ არც კახა კალაძეა. ის რომ დამოუკიდებელი ფიგურა იყოს, მისი ამბიციები ტრაგედია არ იქნებოდა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ „ოცნებაში“ დამოუკიდებელი ფიგურები არ არიან.

სხვებთან შედარებით კალაძეს ოდნავი დამოუკიდებლობა მაინც აქვს. მას ადრევე აქვს იმიჯი მოპოვებული, თუმცა ეს იმიჯი სულ სხვა სფეროშია მოპოვებული.

– ფეხბურთით მოპოვებული იმიჯი პოლიტიკაში საკმარისი არ არის?

– ეს ქართული პოლიტიკის დიდი პრობლემა გახდა. შეიძლება ადამიანი იყოს კარგი მსახიობი, კარგი მომღერალი, დიდი ფეხბურთელი, მაგრამ ეს აპრიორი იმას არ ნიშნავს, რომ ის კარგი პოლიტიკოსი იქნება.

ყოფილ ფეხბურთელს ან მომღერალს იმის უნარიც თუ აქვს, რომ ხალხის მხარდაჭერა საზოგადოებრივი ცხოვრებითაც მოიპოვოს, ის გახდება პოლიტიკოსი, მაგრამ მარტო სცენაზე და მოედანზე მოპოვებული წარმატება საკმარისი არაა ქვეყნის სამართავად.

„საქართველოში გვყავს 9 პოტენციური სახეობა, რომელიც ფაროსანასთან ბრძოლაში ბევრად ეფექტური იქნება, ვიდრე იაპონური კრაზანა“

როგორც უკვე გითხარით, კალაძე სხვებთან შედარებით დამოუკიდებელია, მაგრამ ის დიდწილად მაინც ივანიშვილზეა ჩამოკიდებული. შესაბამისად, ის დამოუკიდებელი ფიგურა ვერასდროს გახდება. „ქართული ოცნება“ არის ბოლშევიკური დაჯგუფება, სადაც ცდილობენ, რომ ზედაპირული მახასიათებლებით აარჩიონ კანდიდატები და ასე გააგრძელონ ერთპარტიული მმართველობა.

ერთპარტიული მმართველობა დამღუპველია. ეს ჩვენმა საზოგადოებამაც კარგად იცის, მაგრამ არაფერს აკეთებს რეალობის შესაცვლელად. ეს ამ არჩევნებზეც კარგად გამოჩნდა. ამომრჩევლის 55% აცნობიერებს, რომ ერთპიროვნული მმართველობა დამღუპველია, მაგრამ მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

– არასწორ გადაწყვეტილებაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ეს 55% არჩევნების დღეს სახლში დარჩა და ცივი წყალი დალია. გაბრაზებულ გულზე ცივი წყლის დალევა კარგია, მაგრამ ეს პოლიტიკას არ წაადგება. ამ ადამიანებმა სახლში დარჩენით გადაწყვიტეს არჩევნების ბედი, სახლში დარჩენით ხელისუფლებაში დატოვეს ბოლშევიკები, რაც სახელმწიფოსთვის ნამდვილი ტრაგედიაა.

მესმის, რომ ხალხი იმედგაცრუებულია, მაგრამ იმედგაცრუება საქმეს არ შველის. ეს ქვეყანა ჩვენია, ამიტომ კეთილი ვინებოთ და ვიაქტიუროთ. აქტიურად უნდა ვიაროთ არჩევნებზეც, მიტინგებზეც და სასამართლოებზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორიტარიზმში მოგვიწევს ცხოვრება.

– თქვენი აზრით, ახლა ავტორიტარიზმში ვცხოვრობთ?

– ავტორიტარიზმია, აბა რა არის. ავტორიტარიზმი ავტორიტარიზმია, რა მნიშვნელობა აქვს, რბილ ფორმებშია ის გამოხატული თუ უხეშში. სააკაშვილის ამოსავალი წერტილი იყო ფული და ძალაუფლება და იგივეა ივანიშვილისთვისაც. ეს უკანასკნელი უფრო ოსტატურად ახერხებს ავტორიტარიზმის შეფუთვას.

– ავტორიტარიზმის შეფუთვაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ის უფრო რბილ ფორმებში ამჟღავნებს ავტორიტარიზმს, ვიდრე ამას აკეთებდა სააკაშვილი. შესაბამისად, ივანიშვილი უფრო სახიფათოა. ის არის ეშმაკი და ეშმაკი მტერი უფრო საშიშია.

სააკაშვილი იყო ღია მკვლელი, რომელიც არც მალავდა, რომ მკვლელი იყო. ყოფილი პრემიერი შეფარული ავტორიტარია, რომელსაც სამუდამოდ უნდა ქვეყნის მართვა. ყველაფერთან ერთად, ის არის შეფარული მკვლელი. როდესაც მკვლელებს არ სჯი და მათ შესაბამის სტრუქტურებში ინახავ, ეს იმას ნიშნავს რომ საჭიროების შემთხვევაში მათ იმავე მიზნებისთვის გამოიყენებ, რისთვისაც წინა ხელისუფლება იყენებდა.

– მოდით, ისევ კალაძის ამბიციებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, მისი პრეზიდენტობა თუ პრემიერობა უკვე გადაწყვეტილი აქვს ივანიშვილს, თუ კალაძე ცდილობს ამ სირბილით მისთვის იმის დამტკიცებას, რომ ყველაზე მეტად ის იმსახურებს ამ თანამდებობებს?

– რატომღაც მგონია, რომ კალაძე უფრო აქტიურია ამ მიმართულებით. ის ცდილობს, ივანიშვილის კარზე მეტი ქულები დაიწეროს და გარანტირებულად მიიღოს პრეზიდენტობაზე შეთავაზება. არც ისაა გამორიცხული, ერთობლივ ქმედებებს ჰქონდეს ადგილი. კალაძემ კარტი თვითმმართველობის არჩევნებზე კარგად გამოიყენა.

– თქვენ ბიოლოგი ხართ და აუცილებლად უნდა გკითხოთ ფაროსანაზე. ხელისუფლება ამბობს, რომ მის გასანადგურებლად შეიძლება მისი ბიოლოგიური მტერი შემოიყვანონ. არის გარანტია, რომ ბიოლოგიური მტერი ფაროსანას გაანადგურებს?

– ფაროსანასთან დაკავშირებით ჩვენმა ხელისუფლებამ დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინა. ფაროსანა უკვე მეოთხე წელია, რაც საქართველოშია და მის წინააღმდეგ ადეკვატური მეთოდების გამოყენებაზე არ უფიქრიათ. იყო ეპიზოდური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ქმედებები, რამაც შედეგი ვერ გამოიღო და დღეს ამის გამო უმძიმეს ვითარებაში ვიმყოფებით.

ფაროსანას ბიოლოგიური მტრის შემოყვანა ძალიან მნიშვნელოვანია, ხელისუფლებას აქამდეც უნდა ეფიქრა ამაზე. მხოლოდ იაპონური კრაზანა არ არის ფაროსანას მტერი, ეს იაპონური კრაზანა ან გაამართლებს, ან არა. ამიტომაც სხვა გზებიც უნდა მოიძებნოს.

ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი სახეობების გამოყენება. აუცილებლად უნდა ჩატარდეს ამ საკითხზე კვლევა და ხელისუფლება ვალდებულია, ეს კვლევა დააფინანსოს. საქართველოში ამ მიმართულებით სპეციალისტები, საბედნიეროდ, ჯერ ისევ გვყავს.

– საქართველოში არსებობს ფაროსანას ბიოლოგიური მტერი?

– საქართველოში გვყავს 9 პოტენციური სახეობა, რომელიც ფაროსანასთან ბრძოლაში ბევრად ეფექტური იქნება, ვიდრე იაპონური კრაზანა. ამისთვის საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება. ხელისუფლებამ ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის დამატებით რამდენიმე ათასი ლარის გამოყოფა არ ისურვა.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ფაროსანასთან საომრად 14 მილიონს გამოყოფს და კვლევის ჩასატარებლად ენანებათ ფული?

– ფაქტია, რომ ენანებათ. ეს კვლევა აქამდეც უნდა ჩატარებულიყო. სანამ ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებას დაიწყებ, მანამდე უნდა ჩაატარო კვლევა. ჯერ უნდა დავადგინოთ, რომელი სახეობაა ეფექტური და მერე დავიწყოთ მისი გამოყენება.

ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ მიდის ამ ნაბიჯზე ხელისუფლება. ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ და თავს იქნევენ. ეს გულგრილობა შეიძლება ძალიან მძიმედ დასრულდეს. დასავლეთ საქართველო გადაჭამეს და ახლა აღმოსავლეთ საქართველოს შეესევიან. ასეთ შემთხვევაში მთელი ქვეყანა შიმშილობის ზღვარზე აღმოჩნდება.

მალხაზ ველიჯანაშვილი: „მეგის ქარდავა ნაცემია და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

მეგის ქარდავა ნაცემია და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ქარდავას ქართველმა ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა, უკრაინელ ადვოკატზე დაყრდნობით განუცხადა.

როგორც ველიჯანაშვილმა აღნიშნა, მეგის ქარდავა უკრაინის სააპელაციო სასამართლოში გამართულ პროცესზე ვერ გამოცხადდა, რის მიზეზადაც მისმა ადვოკატმა სწორედ ქარდავასთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებები დაასახელა.

– პროცესზე უკრაინელმა ადვოკატმა განაცხადა, რომ მეგის ქარდავა არის ნაცემი. კერძოდ აღნიშნა, რომ მას დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე გაუსწორდნენ და აღენიშნება დაზიანებები სახის არეში. დაზუსტებით ამ ეტაპზე არ იციან, თუ ვინ სცემა. მეგის ქარდავა პროცესზე ვერ მივიდა და ციხიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩაერთო. მას სასამართლოზე ჩართვისას უთქვამს, რომ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

დავით ქაცარავა: „ანზორ სვიანიძის გარიცხვისთვის ქუთაისის მედია სკოლას ლიცენზია უნდა შეუჩერდეს“

ნონა ცაბაძე

მსახიობი და ტელეწამყვანი დავით ქაცარავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ქუთაისის კერძო მედია სკოლას, რომელმაც მოსწავლე თავისუფალი აზრის დაფიქსირებისთვის სკოლიდან გარიცხა, ლიცენზია უნდა შეუჩერდეს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ქუთაისელი მოსწავლის ანზორ სვიანიძის სკოლიდან გარიცხვას დავით ქაცარავა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოეხმაურა და რამდენიმე კრიტიკული პოსტი მიუძღვნა.

– ბატონო დავით, თქვენს პოსტებს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა საზოგადოებაში.

– არ მაინტერესებს, რას იტყვიან ჩემზე და რას დამაბრალებენ. ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ამ სასწავლებელს შეუჩერდეს ლიცენზია. იმიტომ, რომ ეს არის აბსოლუტურად გაუმართლებელი გადაწყვეტილება ამ სასწავლებლის მენეჯმენტის მიერ მიღებული. ეს მარტო დირექტორმა მიიღო თუ პედსაბჭო შეკრიბეს და ისე მიიღეს ეს ბარბაროსული გადაწყვეტილება, ეს არის ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება. ჩემთვის წარმოუდგენელია მსგავსი რამ. ადამიანს ართმევენ იმის უფლებას, რომ თავისუფალი აზრი გამოთქვას.

– სვიანიძეს არ აპატიეს ელგებეტეების მისამართით გამოთქმული აზრი?

– ასეა. ამ ელგებეტეებმა იმდენს მიაღწიეს, რომ მათ მიმართ ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი. როგორც კი რამე ნეგატიურს და განსხვავებულ აზრს გამოთქვამ, რომელიც მათ არ აწყობთ, უკვე ითვლება, რომ მათი უფლებები ირღვევა, ე.წ. ჰომოფობიური გამონათქვამების კვალიფიკაცია ეძლევა ყოველივე ამას. ჩვენ ჩვენი პოზიცია გაგვაჩნია, რატომ არღვევენ ჩვენს უფლებებს? რატომ არ გვაძლევენ საშუალებას, რომ ჩვენი აზრის დაფიქსირების საშუალება გვქონდეს?! ან კარგი უნდა ვილაპარაკოთ ან არაფერი? არ შეიძლება განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება?! პირიქით, ჩვენი უფლებები ირღვევა ამ შემთხვევაში და ასეთი ადამიანები უმრავლესობაში ვართ. რატომ გვაჩუმებენ და რატომ ცდილობენ აგვიკრძალონ ჩვენი აზრის დაფიქსირების საშუალება. ვერ ვხვდები, რის მიღწევას ცდილობენ.

– ფიქრობთ, რომ დღეს უმრავლესობის უფლებები ირღვევა და ვისაც ეს ყველაფერი არ მოსწონთ, მათ აზრის დაფიქსირების საშუალებას არ აძლევენ?

– სწორედ რომ ასეა. ან უნდა დაიცვა ეს ხალხი, ან უნდა გაჩუმდე და რასაც ვფიქრობ, ჩემთვის დავიტოვო, არ შეიძლება ამაზე ხმამაღლა საუბარი. ეს მიდგომები კატეგორიულად მიუღებელია! ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ, ჩვენი უფლებები შეიზღუდოს. რაღაც დაშტამპული ტერმინების გამოყენება დაიწყეს, „სიძულვილის ენა“ და „ჰომოფობები“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

„ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ“

– ეს შეფასებები მიუღებლად მიგაჩნიათ? არ ფიქრობთ, რომ ეს სიძულვილის ენაა?

– რას ნიშნავს, ხალხო, სიძულვილის ენა?! არ მომწონს და ვაფიქსირებ ჩემს აზრს. ეს ყველაფერი ჩემთვის მიუღებელია და ამის თქმას ვერავინ დამიშლის. ამას ვიტყვი ყოველთვის. შესაბამისად, ის, რაც მოხდა ამ სკოლაში, ძალიან ცუდი სიმპტომია. 2013 წელს პირველი შემთხვევა იყო და ეს მოხდა ჩემთან მიმართებით.

– რას გულისხმობთ?

– იმას, როდესაც ჩემი აზრის დაფიქსირების გამო დავკარგე სამსახური ტელეკომპანია იმედში და ახლა ასეთი ხმაურიანი შემთხვევა მოხდა მეორედ, ოღონდ სკოლაში, სადაც რეალურად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს პრესავენ და ცდილობენ, უკვე ჩანასახშივე მისი თავისუფალი აზრი ჩაკლან და მოახვიონ თავს ის რაღაცა უცნაური ღირებულებები, რომელთა დანერგვას ცდილობს ეს ელგებეტე.

– გვესმის შეფასებები, რომ ასეთი აქტიური პროპაგანდა გრანტებს უკავშირდება. თქვენ რას იტყვით, რა ხდება?

– ეს ერთმნიშვნელოვნად გრანტებს უკავშირდება და დიდ ფულს. რაც უფრო აქტიურად მუშაობენ ეს ადამიანები ამ მიმართულებით, უფრო მეტ ფულს იღებენ. ქმნიან ხელოვნურ პრობლემებს, რომლებიც რეალურად არ არსებობს. ანუ მიდის იმის ტირაჟირება, რომ თურმე იჩაგრებიან ამ ფენის წარმომადგენლები. ეს რეალობას მოკლებულია, თითიდან გამოწოვილი და ხელოვნურად შექმნილი პრობლემებია. სინამდვილეში ასეთი არაფერი არ ხდება.

– მაშინ რაში სჭირდებათ ამის ტირაჟირება?

– მხოლოდ და მხოლოდ მეტი და მეტი გრანტის მოსაპოვებლად. ეს კონკრეტული შემთხვევა კი, რაც ქუთაისში მოხდა, არის ძალიან საგანგაშო სიგნალი, რომლის გატარებაც მარტივად არ შეიძლება. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ სასწავლებელს შეუჩერდეს ლიცენზია.

– ამას როგორ მოახერხებთ?

– შევეცდები, ძალიან ბევრი მხარდამჭერი მოვაგროვო. ამ სასწავლებელს უნდა შეუჩერდეს ლიცენზია, რათა მომავალში ვერავინ ვერ გაბედოს ახალგაზრდების თავისუფალი აზრის ცენზურა და ამ აზრის ჩახშობა. ძალიან მიკვირს და ძალიან მაშფოთებს ის ფაქტი, რომ აბსოლუტური სიჩუმეა.

– სიჩუმე რა თვალსაზრისით?

– სად არიან უფლებადამცველები? სხვა მედიასაშუალებები?! აბა პირიქით მომხდარიყო, ქვეყანას თავზე დაგვაქცევდნენ. ხმას რატომ არავინ იღებს?! სამი პოსტი მივუძღვენი ამ ფაქტს და ფაქტიურად არც ერთი ტელე-ჟურნალისტი, არც ერთი უფლებადამცველი არ გამოხმაურებია ამ ფაქტს და არავის არ დაუფიქსირებია საკუთარი აზრი.

– თქვენ როგორ ხსნით ამას? არ არის დღეს პოპულარული ამ თემაზე საწინააღმდეგო აზრის ქონა?

– ვერ გეტყვით. მეც დავსვი ეს კითხვა. რა გითხრათ, ეს ადამიანები ან მხარს უჭერენ ამ მიმდინარეობას, ასევე მხარს უჭერენ ტერორს თავისუფალი აზრის მიმართ, ან უბრალოდ არიან დაშინებულები, რომ თუ ისინი დააფიქსირებენ მხარდაჭერას ამ ახალგაზრდის მიმართ, მათ დაადანაშაულებენ ჰომოფობიაში და ვფიქრობ, რომ ეს შიშის მომენტი მათში უკვე ძალიან ღრმად არის ჩანერგილი.

– ხომ შეიძლება თქვენი მისამართითაც წამოვიდეს მსგავსი განცხადებები, რომ თქვენ ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებთ.

– მე ამის არ მეშინია, რადგან ჩემთვის ეს ღირებულებები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიღაც ადამიანების მხრიდან ჩემ მიმართ რაღაც ბრალდებების წამოყენება. ჩემს პოზიციას და დამოკიდებულებას მე ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ. მე მზად ვარ, ჩემი პოზიცია დავიცვა ბოლომდე და დავიცვა სიტყვის თავისუფლება. დღეს ძალიან ცუდად გვებრძვიან ეს „უფლებადამცველები“, ისინი სინამდვილეში უფლებადამცველები არ არიან. ყველანაირად ცდილობენ, ელგებეტე თემის პროპაგანდა დაამკვიდრონ საზოგადოებაში და შემოიტანონ ის „ფასეულობები“ და ის „ღირებულებები“, რომლებიც ამ ქვეყნისთვის ყოვლად მიუღებელია!

ლევან ხაბეიშვილი: „ია მაკასარაშვილის ბიუროში ცოლმა ქმარი უარყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დაწყებული გამოძიების ნაკლებად მჯერა. ამის მიუხედავად, მზად ვარ, ანტიკორუფციულ სამსახურში ნებისმიერ დროს მივიდე და მივიტანო სათანადო დოკუმენტაცია.

– გამოძიების თუ არ გჯერათ, რა აზრი აქვს იქ თქვენს მისვლას და სათანადო დოკუმენტაციის მიტანას?

– აზრი როგორ არა აქვს. მთავარი ისაა, რომ გამოძიება დაიწყო. ეს საქმეები შეიძლება თაროზე შემოდონ, მაგრამ მოვა ხელისუფლება, რომელიც ბიუჯეტის წურბელებს აუცილებლად მოსთხოვს პასუხს.

– არის იმის ალბათობა, რომ ეს ამ ხელისუფლების პირობებში მოხდეს?

– ეს შესაძლოა ამ ხელისუფლებამაც გააკეთოს. ესენი თუ ამას არ იზამენ, ამას სხვა ხელისუფლება გააკეთებს.

– როგორც საკრებულოს დეპუტატი, თუ გაუწევთ ამ გამოძიებას მონიტორინგს?

– აუცილებლად. ახალი საკრებულო ძალიან მალე დაიწყებს მუშაობას. ჩვენი, ნაციონალური მოძრაობის, პირველი ინიციატივა იქნება მაჟორიტარების ბიუროების გაუქმება.

როცა ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაზეა საუბარი, აუცილებლად უნდა მოხდეს ბიუროების გაუქმება. ყველამ ვნახეთ, რომ ეს ფული „ოცნების“ ნათესავების შენახვაზეა ფაქტიურად გამოყოფილი.

თითო მაჟორიტარის ბიუროზე თვეში 5.000 ლარია გამოყოფილი. თბილისში 25 მაჟორიტარი დეპუტატი გვყავს. საბოლოო ჯამში თვეში ეს თანხა 125.000 ლარია. წელიწადში თანხა 1,5 მილიონამდე ადის. ეს მარტო საკრებულოს დეპუტატებზეა საუბარი. პარლამენტის დეპუტატებზე კიდევ სხვა თანხები იხარჯება.

საკრებულომ 4 წელი უნდა იმუშაოს. გამოდის, რომ ამ 4 წელში ბიუროების შენახვაზე 6 მილიონი უნდა დავხარჯოთ. 6 მილიონით თბილისისთვის ბევრად მეტი სიკეთის მოტანა შეიძლება, ვიდრე „ოცნების“ ნათესავების ჯიბეების გასქელება.

– თქვენი აზრით, დაუჭერს ახალი საკრებულო მხარს ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას?

– დაველოდოთ პირველ სხდომას. პირველივე სხდომაზე გამოჩნდება, ვისკენ არის დედაქალაქის საკრებულო – ხალხისკენ თუ თავისი ნათესავებისკენ. ჩვენი ინიციატივა ლუსტრირებისთვისაც კარგი იქნება.

– ბიუროები საერთოდ აკეთებენ რამეს?

– აბსოლუტურად არაფერს. ზოგან საერთოდ არ დადიან თანამშრომლები. მუსხელიშვილის ბიუროში, როგორც უკვე გითხარით, ასეთი წარწერა იყო, გასული ვარ და დამირეკეთო. ასეთი რამე როგორ შეიძლება, მაჟორიტარის ბიუროა თუ გაიანეს ბუტკა? ყველაფერი ზედაპირზე დევს, სურვილის შემთხვევაში საქმეს გამოიძიებენ.

იმ ხალხთან, ვინც ამ საქმეს იძიებს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან. მათ კარგად იციან ეს ამბავი და ყველაფერი დეტალურად გამომკითხეს. მათი შინაგანი რწმენა ასეთია, რომ ვისზეც საქმეს იძიებენ, ისინი ნამდვილად ბიუჯეტის წურბელები არიან.

სამწუხაროდ, გადაწყვეტილებას ისინი ვერ მიიღებენ. ახლა პოლიტიკურ ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული, მიიყვანენ თუ არა ამ საქმეს ბოლომდე.

გიორგი მარგველაშვილი: „ვიცით, რომ თავისუფლების დაცვისთვის რეალურად არის სისხლი დასაღვრელი და ვღვრით ამ სისხლს“

– ვიცით, რომ თავისუფლების დაცვისთვის რეალურად არის სისხლი დასაღვრელი და ვღვრით ამ სისხლს, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მის პატივსაცემად პოლონეთის პრეზიდენტის სახელით ოფიციალურ ღანჩზე განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა პოლონელ პარტნიორებთან ურთიერთობა, „რადგან პოლონეთში ჩვენ ვისმენთ გეგმებს და ხედვებს და არ ვისმენთ მიზეზებს, თუ რატომ არ გაკეთდა რაღაც“.

– ჩვენ ვხედავთ ერს და მის ლიდერს, რომელიც იყურება მომავალში. ჩვენ ვხედავთ ერს და ლიდერს, რომელიც ხედავს არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ რეგიონის მომავალს. ეს თანამედროვე რეალობაში ერთადერთი ადეკვატური ხედვაა, იმიტომ, რომ გლობალურ სამყაროში ერთი ერის განვითარება წარმოუდგენელია თუ მეორეც არ განვითარდა. მე მინდა გითხრათ, რომ ის, თუ რანაირად ხედავთ თქვენ ევროპის მომავალს, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ქართველებისთვის. ის სრულიად პასუხობს ჩემი ერის იმ ისტორიულ მისწრაფებას, იყოს ევროპული ოჯახის წევრი და სრულიად პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს ევროპის წინაშე დგას. თქვენ საუბრობდით ქართველების და პოლონელების მსგავსების შესახებ და თქვენ გაიხსენეთ ლეხ კაჩინსკი. ალბათ ყველაზე დიდი შეჯამება სწორედ იმ ტრაგიკულ დღეებში იყო, როდესაც საქართველოს თავს დაესხა მეზობელი ბირთვული სახელმწიფო და საქართველოს გვერდით დადგნენ ჩვენი ქვეყნის მეგობრები. ჩვენ არასდროს არ დავივიწყებთ იმ მომენტებს, როდესაც ყველაზე მეტად გვიჭირდა, ჩვენ არასდროს დავივიწყებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ის დღეები შეეძლოთ გაეტარებინათ თავიანთ სამშობლოში და არა დაბომბილ თბილისში, რომელთაც ადამიანური ვალდებულების გარდა არანაირი სხვა ვალდებულება არ უბიძგებდათ ამ თამამი ნაბიჯებისკენ. ასე რომ, ჩვენ დაგვაკავშირა არა მხოლოდ ჩვენმა სტრატეგიულმა მიზნებმა, არამედ იმ ტკივილმა, რომელიც ჩვენმა თაობამ განიცადა სულ რამდენიმე წლის წინაც, და იმ მეგობრობამ, რომელიც დავინახეთ, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ქართველები და პოლონელები ჰგვანან ერთმანეთს, ვინაიდან ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფლება. „ჩვენ იმიტომაც ვგავართ ერთმანეთს, რომ ამ თავისუფლების დაცვისთვის რეალურად ვიცით, რომ არის სისხლი დასაღვრელი და ორივე ვღვრით ამ სისხლს და მე ბედნიერი ვარ, რომ მთელი ამ ემოციის ხორცშესხმა, პოლიტიკაში ქცევა, ამ ემოციის პოლიტიკაში გადათარგმნა ჩემი და თქვენი მეგობრობის ფონზე ხორციელდება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ცხინვალის იზოლატორიდან საქართველოს ორი მოქალაქე გაათავისუფლეს

ქარელის რაიონში, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, 3-5 ნოემბერს დაკავებული ორი პირი დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა იზოლატორიდან გაათავისუფლეს.

მესაზღვრეებს ქარელის რაიონის მცხოვრებლები, ზემფირა ფლიევი და ფრიდონ ჯერანაშვილი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ჰყავდათ დაკავებული და ცხინვალის იზოლატორში იყვნენ გადაყვანილი.

სასამართლო პროცესი ზნაურში გაიმართა. სოფელ ატოცის მცხოვრები ფლიევი და ჭვრინისის მკვიდრი ჯერანაშვილი დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა სამდღიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ, ე.წ. საჯარიმო თანხის – თითოეულზე 2.000 რუსული რუბლის გადახდის საფუძველზე გაათავისუფლეს.

რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ეროვნულ უმცირესობებს ამხედრებს

მარიამ მჭედლიშვილი

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილმა საგარეო მინისტრმა სერგეი შამბამ გაიხსენა, რომ 2008 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას კონფედერაციის გზით სთავაზობდა. შამბამ აღიარა, რომ ამ ინიციატივას არ დათანხმდნენ სოხუმი და ცხინვალი.

დღეს 2008 წელს წამოყენებულ შემოთავაზებაზე ყურადღებას ამახვილებენ რუსი ექსპერტები.

თბილისში კონფედერაციული მოწყობის იდეა ყოველთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ის შეიცავს ქვეყნის დაშლის რისკს. ბოლო დროს რუსეთი ააქტიურებს საქართველოს კონფედერაციის იდეას. ამასთან, გაისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს დაშლა გაგრძელდება. რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ასეთი მუქარები, საქართველოს ხელისუფლებამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც არ არის გამორიცხული პროვოკაციები.

რუსი ანალიტიკოსი სტანისლავ ტარასოვი აღნიშნავს, რომ 2008 წელს რუსეთის პრეზიდენტი გამოვიდა საქართველოს კონფედერაციის იდეით. კონფედერაციულ სახელმწიფოში შევიდოდნენ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთიც. მისი თქმით, ეს იდეა მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაამუხრუჭა.

ექსპერტის სიტყვებით, კონფედერაციის პროცესი მოიცავდა ასევე აზერბაიჯანელებსა და სომხებს, რომლებიც ეროვნულ თემებს წარმოადგენენ საქართველოში. მათ შეეძლოთ, მინიმუმ, კულტურული ავტონომიის მოთხოვნა. ყარაბაღის გამო ერთმანეთთან დაპირისპირებულ აზერბაიჯანელებსა და სომხებს საქართველოში ობიექტურად ჰქონდათ და აქვთ თავიანთი ინტერესები.

ტარასოვის თქმით და, სავარაუდოდ, კრემლის მტკიცებით, სააკაშვილი რომ თავის დროზე კონფედერაციულ რეფორმას დათანხმებოდა, საქართველო არა მარტო შეინარჩუნებდა თავის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ, შეძლებდა მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შეცვლას. დღეს, დროდადრო, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ბაქო თბილისს მიუთითებს დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე აზერბაიჯანელების მიმართ. უფრო ხმადაბლა ამასვე აკეთებს ერევანიც.

ექსპერტის განცხადებით, ღიად რჩება კონკრეტულ გარემოებაში საქართველოს გეოპოლიტიკური მდგრადობისა და შიდაპოლიტიკური სტაბილურობის საკითხი.

ტარასოვი აღნიშნავს, რომ აქაიქ საქართველოში სვამენ ფედერალურ მოწყობაზე გადასვლის საკითხს, თუმცა ეს დიდ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს.

ტარასოვი საქართველოში ამ ეტაპზე გამოკვეთილ ერთ ვექტორზე საუბრობს. ესაა სახელმწიფოს შემდგომი დაშლა და იმ ერთეულების ქვეყნიდან გამოსვლა, რომელთა დამოუკიდებლობა ნაწილობრივად აღიარებულია.

მისი თქმით, საქართველოზე გავლენას მოახდენს არა აშშ-სა და რუსეთში მიმდინარე პროცესები, არამედ, ევროპაში დაწყებული სეპარატიზმი. ამიერკავკასიაში სცენარები ბრიუსელიდან წარიმართება. ისინი ეროვნული სახელმწიფოების დაშლას გულისხმობს. ვენეციის კომისიამ თბილისს უკვე ურჩია, შექმნას განსაკუთრებული ზონები ადგილობრივი თვითმმართველობით. ისინი ეხება არაქართველებით დასახლებულ რეგიონებს.

ტარასოვი ევროპელი ექსპერტების გამონათქვამებსაც იშველიებს. მისი თქმით, გერმანელი პოლიტოლოგები მაისტერი და ჰამილტონი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა სამხრეთ კავკასიაში არაფერს ცვლის, აშშ-ის არმონაწილეობა პროცესებში და ევროკავშირის სისუსტე ქმნის დიდ ვაკუუმს რეგიონში.

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა

სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რომელიც 8 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელმა, მარიანა მორგოშიამ ჟურნალისტებს განუცხადა, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროექტისადმი ინტერესს და არსებულ ბენეფიციარებსაც განვითარების მეტ შესაძლებლობებს მისცემს.

– პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, შესაძლებელი ხდება კრედიტისა და ლიზინგის კომპონენტის ერთდროულად სარგებლობა, რაც აქამდე არსებული რედაქციით დაშვებული არ იყო. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკიდან გაცემული სესხი მაქსიმალურად ეფექტურად რომ მოხმარდეს პროგრამის მიზნებს, წარმოების გაზრდას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებას, შეიზღუდება გაცემული სესხით უძრავი ქონების შეძენა, ან კომპანიების აქციების/წილების შეძენა და მართვაში აღება – სესხი მოხმარდება მხოლოდ საწარმოო ტექნოლოგიების განვითარებას და ძირითად საშუალებებში ინვესტირებას, – განაცხადა მარიანა მორგოშიამ.

მისივე თქმით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში აღებული კრედიტის რეფინანსირება შესაძლებელი იქნება იმავე უცხოურ ვალუტაში, თუ ბანკი პროგრამის ბენეფიციარს შეუმცირებს სესხის წლიურ პროცენტს, მაგრამ არ გაიზრდება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ პროცენტის თანადაფინანსების თანხა და თანადაფინანსების თავდაპირველი ვადა.

მარიანა მორგოშიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ პროგრამის ბენეფიციარი უკვე არსებულ სესხთან ერთად აიღებს პარალელურ კრედიტს, ამ კრედიტისთვის პროცენტის თანადაფინანსებასა და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობის ვადის ათვლა დაიწყება ახლიდან და არ იქნება მიბმული პირველ სესხზე. „ამ ცვლილებით ბენეფიციარები შეძლებენ, რომ ყველა სესხზე (რომელიც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 ლარს) ისარგებლონ სააგენტოს მიერ პროცენტის თანადაფინანსების ინდივიდუალური გრაფიკით, რაც კიდევ უფრო გაზრდის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით მეწარმეების დაინტერესებას და მეტ სტიმულს მისცემს ქვეყანაში ეკონომიკურ აქტივობებს, – აღნიშნა მორგოშიამ.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ფრენშაიზინგის დაფინანსების ნაწილში განხორციელებულ ცვლილებებზე. მისი განცხადებით, სასტუმროს საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისას (ფრენშაიზინგი), შესაძლებელი იქნება სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გადახდილი საფასურის დაფინანსება (არაუმეტეს საქმიანობის დაწყებიდან 24 თვისა, არსებული რედაქციით ფრენშაიზინგის საფასურის დაფინანსება შესაძლებელია სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ გადახდებზეც). ამასთან, მთავრობა აღარ იქნება უფლებამოსილი, ფრენშაიზინგისას პროგრამის ბენეფიციარზე გასცეს პროგრამით გათვალისწინებულ მაქსიმალურ თანხაზე მეტი (წელიწადში 300.000 ლარი);

– ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ პროექტებზე, რომლებიც საჭიროებენ მთავრობის გადაწყვეტილებას პროგრამით განსაზღვრული დაფინანსების ოდენობის გასაზრდელად (სესხი, ლიზინგი და კონოინდუსტრიის ნაწილში კვალიფიციური ხარჯი), ცვლილების შედეგად, ეკონომიკის მინისტრი დაადგენს კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელი იქნება მთავრობისათვის საკითხის წარსადგენად. აქვე აღვნიშნავ, რომ პროგრამის ინდუსტრიული, სასტუმროს ინდუსტრიისა და ლიზინგის ნაწილის ბენეფიციარი ვეღარ იქნება მეწარმე, რომელმაც ერთხელ უკვე ისარგებლა პროგრამით განსაზღვრული ლიმიტით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ



2%-ით იზრდება პროგრამით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრები სალიზინგო კომპანიებისთვის, – განუცხადა მედიის წარმომადგენლებს მარიანა მორგოშიამ.

მისივე თქმით, პროგრამაში ცვლილება შედის კინოინდუსტრიის ნაწილშიც, კერძოდ: აქამდე ტელე ან მინისერიალის, სარეკლამო და მუსიკალური ვიდეორგოლის საქართველოში გადაღებით დაინტერესებული პირი სააგენტოსგან დაფინანსებას იღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის პროდუქციის დისტრიბუციას განახორციელებდა საქართველოს გარდა, მინიმუმ სამ ქვეყანაში. ეს რიცხვი მცირდება და აღნიშნული ვიდეოპროდუქციის გადაღების მსურველი დაფინანსებას მიიღებს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პროდუქციის დისტრიბუციას მოახდენს ერთ რომელიმე სხვა ქვეყანაში.

– ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მაღალბიუჯეტიანი რეკლამების გადაღების პროცესის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში გადმოტანას და გაზრდის პროექტის მიმზიდველობას, – აღნიშნა სააგენტოს ხელმძღვანელმა

„არის მოსაზრებები, რომ გაიზარდოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება“

პარლამენტშიც არის რამდენიმე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება, – ამის შესახებ კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მისი თქმით, სამსახური უნდა იყოს ეფექტიანი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ქვეყანაში კონკურენტული გარემოს არსებობა.

– ძალიან ბევრი მიმართულებაა, რომელზეც ჩვენ შეიძლება გავიზიაროთ ის გამოცდილება, რომელიც ევროკავშირშია ან სხვა ქვეყნებში, სადაც ამ მიმართულებით უფრო წინ არიან წასულნი. მთავარი არის ის, რომ ჩვენი სამსახური უნდა იყოს ეფექტიანი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ქვეყანაში კონკურენტული გარემოს არსებობა. სააგენტო მუშაობს ევროკავშირის ექსპერტებთან, მათ აქვთ თავისი მოსაზრებები, ჩვენ – ჩვენი, ამიტომ შევჯერდებით საქართველოს პარლამენტთან. პარლამენტშიც არის რამდენიმე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება. ჩვენ ამჟამად ვართ 40 თანამშრომელი, ამ წუთებში რა ფუნქცია-მოვალეობებიც გვაქვს, თავისუფლად ვუმკლავდებით ამ რაოდენობითაც, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ დაგვემატება მოვალეობები, ეს აუცილებლად გამოიწვევს კადრების დამატების აუცილებლობას, – აცხადებს ნოდარ ხადური.

რომან გოცირიძე: „დააბრუნონ ბანკებმა ხაზინიდან წაღებული ფული და ლარის წიოკობაც დასრულდება“

– დააბრუნონ ბანკებმა ბოლო თვეებში ხაზინიდან წაღებული ფული, ამავე რაოდენობით შეამციროს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხები და ლარის წიოკობაც მორჩება, – წერს ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე სოციალურ ქსელში.

– ორი დღეა ლარი მცირედით მყარდება. გუშინ ბანკების აქტიურობა სავალუტო ბირჟაზე მინიმალური იყო. ჩნდებოდა ეჭვი, რომ მთავრობა არ აპირებდა აუქციონის ჩატარებას და ბანკების მიერ გრაფიკით დასაბრუნებელი 50 მილიონი ლარის ავტომატურად ბანკებზე უკან ჩასესხებას, ანუ გუშინ ბანკები დღეს გასასტუმრებელ ფულს იმარაგებდნენ. ამით მთავრობის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხები 500 მილიონი ლარიდან 450 მილიონ ლარამდე შემცირდებოდა. ასეც მოხდა. ეს ლარზეც აისახა.

დააბრუნონ ბანკებმა ბოლო თვეებში ხაზინიდან წაღებული ფული, ამავე რაოდენობით შეამციროს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხები და ლარის წიოკობაც მორჩება.

როგორ ამტკიცებდა მთავრობა, ხაზინიდან გაცემული სესხები ლარზე არ მოქმედებსო? აბა რა მოქმედებს, მოლოდინს გაფიცებთ?! – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

„მარეგულირებელმა მიკროსაფინანსოები ბანკებს თუ დაამსგავსა, მაშინ შემდეგი ნაბიჯი საკრედიტო ბარათების გამოშვება იქნება“

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკრედიტო ბარათების გამოშვებას ჯერჯერობით ისევ არ აპირებენ, თუმცა საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგ ბაზარზე ამ პროდუქტის გამოტანას არ გამორიცხავენ. როგორც „არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ დამფუძნებელი გივი კორინთელი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, „მარეგულირებელმა მიკროსაფინანსოები გარეგნულად ბანკებს თუ დაამსგავსა, მაშინ შემდეგი ნაბიჯი სწორედ საკრედიტო ბარათების გამოშვება იქნება“.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ბარათები ბაზარზე ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში უნდა გამოჩენილიყო. თუმცა ეს პროცესი დროში გაიწელა. მოგვიანებით, იდეის ავტორი რამდენიმე ორგანიზაცია ბანკად გადაკეთდა და ბარათების გამოშვება როგორც ბანკმა, ისე დაიწყო.

ამ ეტაპზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი საკრედიტო ბარათების გამოშვებას ისევ არ აპირებს, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგ, მათ მომხმარებელს იგივე პროდუქტები შესთავაზონ, რასაც დღეს ბანკები სთავაზობენ.

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მომავალი წლიდან საწესდებო კაპიტალი ნახევარ მილიონ ლარამდე გაიზრდება. 2019 წლიდან კი 1 მილიონ ლარს შეადგენს. სწორედ კაპიტალის გაზრდის შემდეგ გამოჩნდება, საკრედიტო ბარათების გამოშვება რამდენად აუცილებელია. ზოგადად, ტრანსფორმაციის შედეგად, ბაზარზე რას მივიღებთ, არავინ იცის.

ერთი წლის მერე რა მოხდება, რთულად პროგნოზირებადია. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგ, შესაძლებელია, რომ საკრედიტო ბარათები შემოვიდეს. მარეგულირებელმა მიკროსაფინანსოები გარეგნულად ბანკებს თუ დაამსგავსა, მაშინ შემდეგი ნაბიჯი საკრედიტო ბარათების გამოშვება იქნება, – განუცხადა „კომერსანტს“ „არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ დამფუძნებელმა გივი კორინთელმა.

მისივე თქმით, ის მიკროსაფინანსოები, რომლებიც საკრედიტო ბარათების გამოშვებას გეგმავდნენ, ახლა უკვე კომერციული ბანკები გახდნენ.

– მიკროსაფინანსოებს, ბანკების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშები არ გააჩნიათ. შესაბამისად, ეს თანხები დროებით სადღაც უნდა განთავსდეს. სწორედ ამის გამო აღარ გაგრძელდა საკრედიტო ბარათების გამოშვებაზე მუშაობა, – აღნიშნავს კორინთელი.

კითხვაზე, დგას თუ არა საკრედიტო ბარათების გამოშვების საჭიროება, გივი კორინთელი პასუხობს:

– მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანკთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი ვერ იქნება. მან საკრედიტო ბარათი რომც გამოუშვას, საკრედიტო პროდუქტი, რომელიც მას უნდა მიაბას, საბანკო პროდუქტებს კონკურენციას ვერ გაუწევს. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის 85-90%-ს ქვეყანაში მოქმედი ორი დიდი ბანკის ბარათი აქვს ჯიბეში. აქედან გამომდინარე, დამატებით მიკროსაფინანსოს ბარათის ქონა მოსახლეობისთვის ხარჯიანი იქნება. ერთადერთი, მარკეტინგის მიმართულებით თუ გამოიყენებენ.

როგორც ლაზიკა კაპიტალის დირექტორი და „მიკროსაფინანსო ასოციაციის“ თავმჯდომარე ბესო შენგელია „კომერსანტთან“ აღნიშნავს, საკრედიტო ბარათების და ზოგადად ახალი პროდუქციის შექმნის საკითხი კონფიდენციალურია და ამას მიკროსაფინანსოები წინასწარ ნაკლებად აანონსებენ.

„კრედო“ სანამ ბანკი გახდებოდა, მათ ჰქონდათ საკრედიტო ბარათები გამოშვებული. სხვა მიკროსაფინანსოების შემთხვევაში, ვერ გეტყვით, აპირებენ თუ არა, რადგან ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ ჩვენი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უახლოეს მომავალში მსგავსს არაფერს გეგმავს. როგორც ვიცი, სხვა მიკროსაფინანსოებმა, საკრედიტო ბარათების გამოშვება ძირითადად საკუთარი ბიზნესმოდელიდან გამომდინარე გადაწყვიტეს. ჩვენს შემთხვევაში კი ვთვლით, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მომხმარებელი მზად არ არის. ისინი ბარათს პრაქტიკულად, ვერ გამოიყენებენ. კლიენტს ხშირად ისეთ პროდუქტებს ვთავაზობთ, რომელიც ამ ბარათს ანაცვლებს, მაგალითად, სწრაფ სესხებს, – განაცხადა შენგელიამ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ამ დროისთვის რეგისტრირებულია 79 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

ფიზიკურ პირებზე 100.000 ლარამდე სესხის სხვა ვალუტაში გაცემა, შესაძლოა, დასჯადი გახდეს

ფიზიკურ პირებზე 100.000 ლარამდე სესხის სხვა ვალუტაში გაცემის შემთხვევაში, შესაძლოა, მოქალაქე დაჯარიმდეს.

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილით, ფიზიკურ პირზე 100.000 ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ახალი მუხლი.

ამ მუხლის მიხედვით, თუ სესხი სხვა ვალუტაში გაიცემა, პირველ შემთხვევაში პირი გაფრთხილებას მიიღებს, გაფრთხილების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, სამართალდარღვევის გამოუსწორებლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ფიზიკურ პირზე 100.000 (ასი ათასს) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. გამომდინარე იქიდან, რომ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა სუბიექტების მიერ ხდება მოცემული მოთხოვნის დარღვევა, აუცილებელია დადგინდეს ჯარიმა ამგვარი ქმედების პრევენციის მიზნით. შესაბამისად, კანონპროექტის მიღების მიზეზია საკანონმდებლო მოთხოვნის დარღვევა და აღნიშნულის შედეგად მომხმარებელთა ინტერესების შელახვა, – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

რეგულაცია არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე, რადგან მათ ზედამხედველობას ეროვნული ბანკი ახორციელებს. კანონპროექტი დღეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა.

კანონპროექტის ავტორი არის ფინანსთა სამინისტრო, ინიციატორი საქართველოს მთავრობა.

„ქართული თიხა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანია“

„ქართული თიხა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანია“, – ამის შესახებ „კომერსანტთან“ გურიაში თიხის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი კახა სიორიძე საუბრობს.

მისი თქმით, საწარმო ოფიციალურად 2016 წლის ნოემბერში გაიხსნა და ბეტონიტის (ბეტონისგან დამზადებული ხელოვნური ქვა) თიხას ექსპორტიორი ქვეყნებისთვის უკვე აწარმოებს.

სიორიძის განცხადებით, გერმანიასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქარხანა თვეში დაახლოებით 1 300 ტონა ბეტონიტის ექსპორტს ახორციელებს. უახლოეს პერიოდში პროდუქტი გადაიტვირთება რუსეთში, უკრაინასა და მოლდოვაში. მისი თქმით, აღნიშნულ ქვეყნებში პროდუქცია თვეში 60 ტონის ოდენობით გაიგზავნება.

ქარხნის დირექტორის განცხადებით, ბეტონიტის თიხა საკმაოდ მოხმარებადი პროდუქტია, მათ შორის ის გამოიყენება ღვინის წარმოებაში, როგორც ფილტრი.

ქარხანა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში მდებარეობს. სამომავლოდ, მას შემდეგ, რაც ქარხანა წელიწადში 80.000 ტონა თიხის წარმოებას და რეალიზებას შეძლებს, დაგეგმილია აღნიშნულ ტერიტორიაზე თიხის გადამამუშავებელი მეორე ქარხნის მშენებლობაც, რომელშიც ასევე 10 მილიონი ლარის ინვესტირება მოხდება. სიორიძის ინფორმაციით, ქარხნის ჯამური წლიური წარმადობა 100.000 ტონაა. ამ ეტაპისთვის კომპანია 25.000 წლიური წარმადობით მუშაობს.

როგორც ცნობილია, ქარხანა ნედლეულს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანიდან იღებს. პროექტის განმახორციელებელი კომპანია, „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი ჯიმი ჩხაიძეა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წყარო საპენსიო კაპიტალია

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წყარო საპენსიო კაპიტალია, – ამის შესახებ თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელმა და საფონდი ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. გიორგი ბაჩიაშვილი ამბობს, რომ საპენსიო რეფორმა ქვეყანაში კაპიტალის განვითარების კუთხით ერთ-ერთი ბიძგი იქნება, თუმცა საპენსიო თანხების ინვესტირება დივერსიფიცირებული უნდა იყოს, რათა მოსახლეობის დანაზოგები დაცული იყოს.

– იმისთვის, რომ განვითარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საჭიროა რამდენიმე კომპონენტი: ბირჟაზე უნდა ხდებოდეს ფასიანი ქაღალდების მიწოდება, ემიტენტები უნდა არსებობდნენ და ქვეყანაში უნდა იყოს თავად კაპიტალი, რომელიც ფასიან ქაღალდებში მოხვდება.

უმეტესი ქვეყნების მაგალითზე საპენსიო კაპიტალი არის ერთ-ერთი ის მთავარი წყარო, რომელიც მიემართება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში. რა თქმა უნდა, ბევრი სხვა კომპონენტიცაა, თუმცა საქართველოს შემთხვევაში ეს ერთ-ერთი ბიძგი იქნება, რომელიც კაპიტალის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში საკმაოდ მცირე კერძო დანაზოგებია, შესაბამისად, ფასიან ქაღალდებში ინვესტირებისთვის საჭიროა დიდი თანხები და ეს შეიძლება იყოს საინვესტიციო ინსტიტუტები, შეიძლება იყოს კერძო თანხები და დანაზოგები. კერძო თანხების და კორპორატიულების ნაწილში კაპიტალი შედარებით მცირეა და ეს თანხა ძირითადად მიდის ან კერძო მიზნებისთვის, ან კომპანიების შემთხვევაში ისევ ამ კომპანიების განვითარებაში.

შესაბამისად, სხვა დაფინანსების წყარო, რომელიც შეიძლება შეიქმნას, არის საპენსიო კაპიტალი, თუმცა აღნიშნული თანხა მხოლოდ ნაწილობრივ უნდა წავიდეს ამ ბაზარში და უნდა მოხდეს დივერსიფიცირება, მათ შორის უცხოურ ბაზრებზე, რათა დანაზოგები დაცული იყოს, – განაცხადა გიორგი ბაჩიაშვილმა.

„არ არის გამორიცხული, ფაროსანა კახეთის რეგიონშიც გავრცელდეს“

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რევაზ ასათიანი არ გამორიცხავს, რომ აზიური ფაროსანა კახეთის რეგიონშიც გავრცელდეს.



როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მავნებელი მწერი ზამთარში იმალება, სამინისტრო მასთან ბრძოლისთვის ყველა ღონისძიების გატარებას გააგრძელებს.

– საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს. როგორ შეიძლება, რომ მწერს რაღაც შეზღუდვები დავუწესოთ, ცაში სად გაფრინდეს და სად არა. ამის რისკები არსებობს, თუმცა გეტყვით, რომ ჩვენ ფაროსანასთან ბრძოლის მიმართულება სამ ნაწილად დავყავით. ერთი – როგორ მოვიქცეთ მაშინ, როდესაც ფაროსანა შენობაშია შესული, მეორე – რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ფაროსანა საკარმიდამო ნაკვეთებშია და მესამე, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ ფაროსანა თხილნარშია. ამიტომ სამივე მიმართულებით აქტიური ღონისძიებები მიმდინარეობს. სეზონზე ფაროსანა აქტიური განაყოფიერების პერიოდში 400-450 კვერცხს დებს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი მექანიკური განადგურება, – განაცხადა ასათიანმა.

ამასთან, რევაზ ასათიანის თქმით, მავნებელთან ბრძოლისთვის რეგიონებსა და თბილისში სპეციალური ხაფანგია დამონტაჟებული, თუმცა რა შედეგია ამ დროისთვის, ასათიანის თქმით, ეს მონიტორინგის შედეგების გაცნობის შემდეგ გახდება ცნობილი.

– მავნებელი მწერი რეგიონებში ბინადრობს და იქ დიდი ხანია, რაც ხაფანგები დაიდგა. ასევე ხაფანგები განთავსდა თბილისშიც. რაც შეეხება შედეგებს, მასზე სპეციალური სამსახური მუშაობს. სერიოზული საკითხი გახლავთ ის, რომ შედეგებზე მონიტორინგი ჩავატაროთ და შესაბამისი შეფასება დავდოთ, თუ რა შედეგი გამოიღო ყველა ამ ღონისძიებამ. ამაზე სურსათის უვნებლობის სამსახური მუშაობს და შედეგებს ალბათ, სააგენტო დადებს, – განაცხადა ასათიანმა.

რა ღირს ბინის დაგირავება თბილისში

ბინის დაგირავების სეგმენტში უძრავი ქონების სააგენტოები აქტიურად მუშაობენ.

სასურველი ბინის მოძებნა როგორც აგენტების, ისე ონლაინ და ბეჭდური განცხადებებით არის შესაძლებელი.

ფასები როგორც ადგილმდებარეობის, ასევე პირობებიდან გამომდინარე იცვლება. შედარებისთვის წარმოგიდგენთ ახლად აშენებული 1-2-ოთახიანი ბინების ფასებს თბილისის სხვადასხვა უბანში.

ფასები მოცემულია სხვადახვა უძრავი ქონების სააგენტოების მიხედვით:

გლდანი-ნაძალადევში ბინის ფასი 15 ათასი ლარიდან იწყება და 60 ათას ლარამდეც ადის.

დიდუბეში ბინის ფასი 42 ათასი ლარიდან იწყება და 95 ათას ლარამდე მერყეობს.

ვაკე-საბურთალოზე ბინის დაგირავებას 35 ათასი ლარიდან – 100 ათას ლარის ფარგლებში შეძლებთ.

ძველი თბილისის ტერიტორიაზე ბინის ფასი 50 ათასი ლარიდან იწყება და 120 ათას ლარამდე ადის.

ხოლო ისანი-სამგორში დასაგირავებელი ბინის ფასი ყველაზე დაბალია და 25 ათასი ლარიდან – 50 ლარამდე მერყეობს.

როგორც უძრავი ქონების განცხადებების საიტის საქმე.გე-ს რედაქტორმა ლელა არაბულმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, დაგირავების ფასები ბოლო რამდენიმე წელია არ შეცვლილა.

– ერთი და იმავე ფართობის ბინები რომ შევადაროთ, დაახლოებით 2-3 წელია დაგირავების ფასები არ შეცვლილა. რა თქმა უნდა, გარეუბნებთან შედარებით, ცენტრალურ უბნებში ბინის დაგირავება ბევრად მეტია. თუმცა საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბაზარზე არსებული ფასებისგან განსხვავებით, ბევრად ნაკლებადაც მოახერხოთ ბინის დაგირავება.

საბურთალოსა და ვაკეში ბინის დაგირავების ფასი 25 ათასი დოლარიდან 35 დოლარამდე მერყეობს, გააჩნია ოთახების რაოდენობასა და პირობებს. თუმცა ვაკეში 3-4-ოთახიანი ბინები 65 ათას დოლარადაც კი გირავდება.

რაც შეეხება პერიფერიას, იქ ბინების ფასი 15 ათასიდან 20-ს დოლარამდე მერყეობს. თუმცა, შესაძლოა, 6 ათას დოლარადაც კი ნახოთ.

როდესაც ლარის გაუფასურება დაიწყო, იმ პერიოდში ბინის დაგირავების და ყიდვის ფასი თითქმის ერთმანეთს უტოლდებოდა. დღეს ფასები შედარებით დარეგულირებულია. ამჟამად საიტზე მთელი თბილისის მასშტაბით დაგირავების დაახლოებით 500 განცხადებაა შემოსული, – აღნიშნა არაბულმა.

ადვოკატი: „გოგა ონიანი მზადაა, ამ უკანონო პატიმრობას გაუძლოს“

გოგა ონიანი როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ჯანმრთელობის მხრივ, სტაბილურადაა და მზადაა უკანონო პატიმრობას გაუძლოს, – ამის შესახებ გოგა ონიანის ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, მსჯავრდებული მოსამართლის გადაწყვეტილებით გაოცებულია, თუმ-

ცა სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

– თავად ძალიან გაოცებული და დაბნეულია. სასამართლოს მხრიდან არ ელოდა ამ უკანონო განაჩენს და ბოლომდე იმედოვნებდა, რომ სასამართლო მიიღებდა ობიექტურ გადაწყვეტილებას. გასაჩივრებას რაც შეეხება, ჯერ განაჩენს ჩავიბარებთ და ამის შემდეგ გავასაჩივრებთ. გოგა ონიანი სტაბილურადაა და მზადაა, რომ ამ უკანონო პატიმრობას გაუძლოს, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

გოგა ონიანი სასჯელაღსრულების მეცხრე დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვის ციხეშია მოთავსებული. მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ადვოკატ გიორგი ონიანს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

გიორგი ონიანს ბრალი რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული, მათ შორის უკანონო დაკავების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ბრალდებით. პროკურატურა მას ორ ეპიზოდს ედავებოდა. გამოძიების ინფორმაციით, ერთ შემთხვევაში გიორგი ონიანმა 2011 წელს „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის „დაო პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი უკანონოდ დაიკავა და ნარკოტიკული საშუალების ჩადებით, მას ნარკოდანაშაულისთვის ბრალი წაუყენა. გამოძიების ინფორმაციით, ამავე სცენარით მოხდა ასევე „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი მხარდამჭერის ლევან მდინარაძის, მეტსახელად დიჯეი რემბოს დაკავებაც. ონიანს ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო ჰქონდა შეფარდებული.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „გუგუთი“ 4.720 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „გუგუთი“, 4.720 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 7 ნოემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „გუგუთი“, 4.720 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონელი სომხეთის მოქალაქის, მ.გ-ს კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა არადეკლარირებული საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ინდექსის მაჩვენებელი 37 პოზიციით გაუმჯობესდა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, საქართველომ პოლიციის საქმიანობის ეფექტურობის მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის შემუშავება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკებზე დაყრდნობით, მათ შორისაა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ევროკავშირის სხვადასხვა სპეციალიზებული სააგენტო, როგორიცაა: საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი, იუნესკო და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ასევე, ბიზნესსექტორის წარმომადგენლების გამოკითხვის საფუძველზე. აღნიშნულ ანგარიშში შეფასებულია 137 ქვეყანა სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით, რომელთაც გარკვეული ზეგავლენა აქვთ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე.

მოცემული ანგარიშების თანახმად, 2017 წელს, 2012 წელთან შედარებით, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ინდექსის მაჩვენებელი 37 პოზიციით გაუმჯობესდა და ქვეყანამ 75-დან 38-ე ადგილზე გადაინაცვლა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმების გამოვლენის ფაქტები, როგორიცაა – ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების მიერ ბიზნესის რეკეტი და გამოძალვა, ქვეყანაში დაბალ ნიშნულზეა.

2017 წელს, 2012 წელთან შედარებით, ასევე, მნიშვნელოვნად, 26 პოზიციით გაუმჯობესდა დანაშაულისა და ძალადობის გამო ბიზნესისთვის მიყენებული ფინანსური ზარალის ინდექსი. აღნიშნულ კატეგორიაში საქართველომ 56-ე პოზიციიდან 30-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში გამოკითხული ბიზნესექტორის წარმომადგენლებიდან არც ერთს არ დაუსახელებია რომელიმე სახის დანაშაული ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად, განსხვავებით ისეთი განვითარებული ქვეყნებისა, როგორიცაა – აშშ, შვედეთი, ნიდერლანდები, იტალია და სხვა.

მოცემულ ანგარიშში, პოლიციისადმი ნდობის ხარისხის ინდიკატორის მიხედვით, საქართველო 42-ე პოზიციას იკავებს და რეგიონში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის ანგარიშის თანახმად, 2014 წელთან შედარებით, საქართველოს კიბერუსაფრთხოების ინდექსის მაჩვენებელი 4 პოზიციით გაუმჯობესდა და ქვეყანამ 2017 წელს მე-8 ადგილზე გადმოინაცვლა, რაც ბიზნესისა და ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის კიდევ უფრო სასურველ გარემოს ქმნის.

რატომ არ აწერს ხელს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების დანიშვნის საკითხს

– შექმნილია ერთგვარი კაზუსი, რადგან კანონში გაწერილი არ არის, თუ რა ხდება, როცა თავმჯდომარე მოსამართლეების დანიშვნის გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, კანონში გაწერილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, თუ როდის არ საჭიროებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელმოწერას გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებს ეხება.

კერძოდ, როგორც ჯანეზაშვილმა აღნიშნა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი არყოფნის შემთხვევაში, ასეთ გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საბჭოს მდივანი.

ამასთან, კანონში არ არის გაწერილი ვადები, თუ რა პერიოდში უნდა მოეწეროს ხელი დოკუმენტს. კანონში წერია, რომ უვადოდ გამწესების მსურველ მოსამართლეს საბჭოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა სჭირდება იმისთვის, რომ სასამართლოში უვადოდ დაინიშნოს. თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერის გარეშე, 34 მოსამართლის უვადოდ დანიშვნის გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ აღსრულდეს.

– კანონით მოსამართლეს სჭირდება საბჭოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა, რათა ის თანამდებობაზე დაინიშნოს. გადაწყვეტილებაზე ხელმოწერა არის ფორმალური პროცედურა, თუმცა, ამავე დროს საჭირო და მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებას ხელი მოეწეროს. მე ვფიქრობ, საბჭომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ მოაწერს ხელს გადაწყვეტილებას, ვინაიდან კანონში არ არის გაწერილი კონკრეტული პროცედურა, თუ რა ხდება ამ შემთხვევაში. ზოგადად კი კარგი იქნებოდა, მითითებული ყოფილიყო კანონში რაღაც ვადები, თუ რა ვადაში ეწერება ხელი გადაწყვეტილებას, რაც ასეთ ვითარებას არ შექმნიდა, – განაცხადა ჯანეზაშვილმა.

მისივე თქმით, გადაწყვეტილებაზე ხელის არმოწერამ შესაძლოა, საქმიანობაში ხელი შეუშალოს იმ მოსამართლეებს, რომლებსაც სამწლიანი გამოსაცდელი ვადა ეწურებათ. თუმცა, როგორც ჯანეზაშვილმა აღნიშნა, საკითხი იმდენად ბუნდოვანია, რომ საჭიროა მასზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელოს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კენჭისყრის შედეგად, საერთო სასამართლოებში 34 მოსამართლე უვადოდ 20 ოქტომბერს გაამწესა. საბჭომ კენჭი უყარა იმ მოსამართლეებს, რომლებსაც 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა ჰქონდათ, თუმცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განცხადებით მიმართეს, რათა მათი უვადოდ გამწესება მომხდარიყო. 34-მა მოსამართლემ საბჭოს წევრების 2/3-ის მხარდაჭერა მოიპოვა, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მათი უვადოდ გამწესება მომხდარიყო. თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს ამ დრომდე არ აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, რის გამოც საბჭოს წინა სხდომა ხმაურის ფონზე გაიმართა. საბჭოს წევრები ნინო გვენეტაძისგან ითხოვდნენ განემარტათ, თუ რატომ არ აწერს ამ დრომდე ხალს გვენეტაძე საბჭოს გადაწყვეტილებას, რაზეც პასუხი ვერ მიიღეს.

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ერთ-ერთ სკვერში, ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. შემთხვევა 7 ნოემბერს მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მამაკაცს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. სავარაუდოდ, ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივები რუს ტურისტებს დაუპირისპირდნენ

მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაური და დაპირისპირება იყო. არსებული ინფორმაციით, ადგილობრივები რუს ტურისტებს დაუპირისპირდნენ, რის შედეგადაც მათი ავტომობილი დააზიანეს.

ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირი დასაკითხად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

უცნობია, წარედგინათ თუ არა დაპირისპირებაში მონაწილე პირებს ბრალი ან მოხდა თუ არა რომელიმე მათგანის დაკავება.

ავსტრიაში საქართველოში ჩადენილი მკვლელობისთვის ინტერპოლით ძებნილი პირი დააკავეს

ავსტრიული მედიის ცნობით, საქართველოში ჩადენილი მკვლელობისთვის სამართალდამცავებმა ინტერპოლით ძებნილი პირი დააკავეს. 43 წლის მამაკაცი სპეციალური დანაყოფის „კობრას“ მებრძოლებმა ქალაქ ლინცში აიყვანეს.

დაკავებულის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა არსებული ინფორმაციით, საქმე 1999 წელს მომხდარ მკვლელობას ეხება. მამაკაცი ყალბი პირადობის მოწმობით ავსტრიაში წლების განმავლობაში ცხოვრობდა.

როგორც ცნობილია, დაკავებულს საქართველოში ექსტრადირებისთვის ამზადებენ.

ჯარჯი წიკლაური: „გამოძიებას აქვს მტკიცებულებები, რომ სააკაშვილი პატარკაციშვილს ძალის გამოყენებით დაემუქრა“

– გამოძიებას აქვს მტკიცებულებები, რომ სააკაშვილი პატარკაციშვილს ძალის გამოყენებით დაემუქრა, თუ ის „იმედს“ ნებაყოფლობით არ დათმობდა. პროკურორ ჯარჯი წიკლაურის ინფორმაციით, გამოძიებას აქვს მტკიცებულებები და ჰყავს მოწმეები, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბადრი პატარკაციშვილს დაემუქრა ძალის გამოყენებით, თუ ის ნებაყოფლობით არ დათმობდა ტელეკომპანია „იმედს“, – ამის შესახებ წიკლაურმა განაცხადა.

პროკურორმა 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და ბადრი პატარკაციშვილისთვის ქონების წართმევის საქმეზე ისაუბრა, რომელზეც ბრალი რამდენიმე ყოფილ მაღალჩინოსანს, მათ შორის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, ყოფილ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილსა და დედაქალაქის ყოფილ მერს გიგი უგულავას აქვს წაყენებული.

ჯარჯი წიკლაურის თქმით, საქმეები გაერთიანებულია, კომპლექსურია და სასამართლო განხილვების ბოლომდე მიყვანა გარკვეულ დროს მოითხოვს. როგორც პროკურორმა აღნიშნა, საქმეში არის დაახლოებით 300-მდე მოწმე, რომელთაგან ამ ეტაპზე მხოლოდ 60-ია დაკითხული.

წიკლაურის განცხადებით, იმჟამინდელი ხელისუფლება დაინტერესებული იყო, რომ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო პოლიტიკა შეცვლილიყო, რადგან არხი ხელისუფლებისთვის არასასურველ სარედაქციო პოლიტიკას ატარებდა.

– თავის დროზე რკინიგზასაც სთავაზობდა ხელისუფლება პატარკაციშვილს „იმედის“ სანაცვლოდ. პირდაპირ მუქარაც კი შეუთვალა იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილს, რომ თუ ტელევიზიას არ დათმობდა ნებაყოფლობით, მაშინ ძალადობრივი მეთოდებით მოხდებოდა ტელევიზიის წართმევა და ეს მოხდა კიდეც პრაქტიკულად 7 ნოემბერს. ჩვენ ამ ფაქტის პირდაპირი მოწმეები გვყავს, რომლებიც დაიკითხებიან სასამართლოში. დადასტურებულია ფაქტებით, რომ „ტელეიმედში“ შეიჭრა ყველა ძალოვანი უწყება, რომელიც კი არსებობდა საქართველოში. ეს იყო შსს-ს კუდ-ის ქვედანაყოფები, სოდ-ის ქვედანაყოფები, კონტრდაზვერვის სამმართველო, ფინანსური პოლიციის სპეცრაზმი, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულები, მათ შორის. ეს მოვლენები იმართებოდა ე.წ. მოდულის შენობიდან, სადაც შეკრებილები იყვნენ შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ეს დადასტურებულია კონკრეტული მოწმეების მიერ. ბრძანება „ტელეიმედის“ ამ ფორმით დარბევისა, რა თქმა უნდა, გაცემული იყო იმჟამინდელი პრეზიდენტის მიერ. ჩვენ სასამართლოში დავკითხავთ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს და ასევე პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

ამასთან, პროკურორმა აღნიშნა, რომ 7 ნოემბრის დარბევა 4 ნოემბერს დაიგეგმა და კონკრეტულ ჯგუფებს ჰქონდათ ბრძანება, რომ მომიტინგეებს სასტიკად მოქცეოდნენ.

– 4 ნოემბერს შსს-ში გაიმართა თათბირი, სადაც იმჟამინდელმა შს მინისტრმა გასცა მითითება, რომ უნდა მომხდარიყო მომიტინგეთა ცემა იმგვარად, რომ ფეხზე დიდხანს ვერ დამდგარიყვნენ. ამას არაერთი მოწმე ჰყავს და ამ ფაქტს ადასტურებს. ამ ფორმით უნდა ჩახშობილიყო საპროტესტო მუხტი. ეს მითითება ზედმიწევნით კარგად შეასრულეს დავით ახალაიამ და მისდამი დაქვემდებარებულმა სადამსჯელო რაზმებმა, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

მაიკ ფლინს მალე ბრალდებას წაუყენებენ

სპეცპროკურორმა მიუღერმა შეკრიბა მტკიცებულებანი დონალდ ტრამპის ყოფილი მრჩევლის, მაიკ ფლინის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. მალე ფლინს და მის ვაჟს ბრალდებას ოფიციალურად წაუყენებენ.

ტრამპის ექს-მრჩეველს რუს ოლიგარქებთან ერთად კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა ბრალდება. ფლინმა აგრეთვე დიდძალი თანხა აიღო საიმისოდ, რათა რუსული ინტერესების ლობირება მოეხდინა. საუბარია რუსეთ-აშშ-ს შორის დიდ გარიგებაზე (ახალი იალტა), როცა მოსკოვი და ვაშინგტონი გავლენის სფეროებს გაიყოფდნენ.

ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა მსოფლიოს საფრთხეს უქმნის!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა მთელ მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. ტრამპმა

ხაზი გაუსვა, რომ შეიარაღებულ კონფრონტაციამდე ერთი ნაბიჯი დარჩა.

– აშშ ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა შიარაღებული დაპირისპირება თავიდან იქნას აცილებული, თუმცა საამისოდ მხოლოდ ჩვენი ძალისხმევა არ კმარა. აუცილებელია, მთელმა მსოფლიომ ფხენიანზე ზეწოლა განახორციელოს. ჩრდილოეთ კორეასთან ყოველგვარი დიპლომატიური და ბიზნესურთიერთობები უნდა შეწყდეს, – აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი.

ამავე დროს, ტრამპმა თქვა, რომ აშშ ნებისმიერი სცენარისთვის მზადაა.

– ჩვენ ნებისმიერი სიტუაციისთვის მზად ვართ! თუ ფხენიანმა ძალისმიერი დაპირისპირების გზა აირჩია, ჩრდილოეთ კორეა განადგურდება, – განაცხადა ტრამპმა.

ზიუგანოვს რუსეთის პრეზიდენტობა სურს



რუსეთის კომპარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობა სურს. პირველი არხისადმი მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ქვეყანა კატასტროფისკენ მიექანება. რუსეთი ორ ლოკალურ ომშია გახვეული. დონბასის ომი რუსეთის საზღვრებთან მიმდინარეობს. სანქციებმა ეკონომიკური კრიზისი გააღრმავა, რაც, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ეკონომიკაზე აისახა.

– ოლიგარქებზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება არ მოქმედებს. ყველაფერი რუსი მშრომელების კისერზე ტყდება, – თქვა ზიუგანოვმა.

კომპარტიის ბელადმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ომებს დაასრულებს, კორუფციას ალაგმავს და მთელ ძალისხმევას მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართავს.

– თუმცა ვიყრი თუ არა კენჭს პრეზიდენტობაზე, ეს საბოლოოდ კომპარტიის ყრილობაზე გადაწყდება, – ამბობს ზიუგანოვი.

ჟურნალისტის შეკითხვაზე უკრაინის პრობლემის შესახებ, ზიუგანოვმა მიუგო, რომ აუცილებელია რუსეთ-უკრაინას შორის საზღვრის ჩაკეტვა და სავიზო რეჟიმის შემოღება. ამის შემდეგ უკრაინის ცალკეული რეგიონები, უწინარეს ყოვლისა დონბასი, ხარკოვი, ოდესა, ზაპორიჟე რუსეთთან შეერთებას მოითხოვენ.

– აღმოსავლეთი და სამხრეთ უკრაინა რუსეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული! ჭკვიანური პოლიტიკის გატარების შედეგად ის ომის გარეშე რუსეთის შემადგენლობაში შემოვა. კიევს და ლვოვს კი ჯანდაბის იქით ჰქონიათ გზა! რეგიონები, სადაც პეტლიურასა და ბანდერას გმირებად მიიჩნევენ, არ გვჭირდება, – თქვა ზიუგანოვმა.

რუსი კომუნისტების ლიდერს საქართველოს მიმართაც ჩამოყალიბებული შეხედულება აქვს. მისი აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფა მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

– სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ვაღიაროთ და ევრაზიულ კავშირში მივიღოთ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა ნონსენსია და ამ რესპუბლიკას რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ფართო ავტონომია უნდა მიენიჭოს. არსებობს კიდევ ჯავახეთი, რომელიც ისტორიულად სომხეთს ეკუთვნოდა და სომხეთს უნდა შეუერთდეს, – თქვა ზიუგანოვმა.

ავაკოვი თანამდებობაზე დატოვეს

უკრაინის უმაღლეს რადაში შინაგან საქმეთა მინისტრ ავაკოვის გადაყენების საკითხი განიხილეს. დეპუტატმა კაპლინმა (პეტრო პოროშენკოს ბლოკი) შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენება მოითხოვა. პარლამენტის სპიკერმა პარუბიიმ ამაზე მიუგო:

– კეთილი, მზადა ვართ თქვენს წინადადებას კენჭი ვუყაროთ!

კაპლინის წინადადებას მხარი მხოლოდ 31 დეპუტატმა დაუჭირა, ავაკოვის გადასაყენებლად კი 226 ხმა იყო აუცილებელი.

– წინადადება არ არის მიღებული, – დაუფარავი კმაყოფილებით შენიშნა პარუბიიმ.

უმაღლესი რადის სპიკერმა არ დამალა, რომ კენჭისყრის შედეგებით კმაყოფილია.

– ავაკოვი ძალიან კარგი მინისტრია! ბედნიერი ვარ, რომ თანამდებობაზე დარჩა! – განაცხადა პარუბიიმ.

თურქეთის პრემიერი აშშ-სთან ვიზების გაცემის განახლებას მიესალმა

თურქეთის პრემიერი ილდირიმი ვაშინგტონს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. ვიზიტის წინ ვაშინგტონმა თურქებისთვის ვიზების გაცემა ნაწილობრივ განაახლა.

– ამას გულმხურვალედ მივესალმები. იმედია, მალე თურქეთ-აშშ-ს შორის მეგობრული ურთიერთობები აღდგება, – თქვა ილდირიმმა.

პრემიერმა დაამატა, რომ იმედოვნებს, რომ აშშ მეორე შემხვედრ ნაბიჯსაც გადადგამს და თურქეთს გიულენს გადასცემს.

დონეცკის მახლობლად იარაღის საწყობი აფეთქდა

დონეცკის მახლობლად სეპარატისტების მიერ მოწყობილი იარაღის საწყობი აფეთქდა. მიზეზი გაუფრთხილებლობაა. დონეცკში დაინგრა საცხოვრებელი სახლები, დაიღუპნენ ადამიანები.

უკრაინის მთავარმა ანტიტერორისტულმა შტაბმა მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ სეპარატისტები ცდილობენ, თავიანთი დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით გამოწვეული მსხვერპლი უკრაინელ სამხედროებს გადააბრალონ.

– უკრაინული არმიის მიმართ ცილისწამების ნებისმიერი მცდელობა მხილებული იქნება, – ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66
- ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ახალგაზრდული ნაკრების პრობლემები

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დაკარგული აქვს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შანსი. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ეს 3 საწყის შეხვედრაში „მოახერხა“. საშინაო წაგება პოლონელებთან, გამანადგურებელი მარცხი დანიაში და სირცხვილი ფარერის კუნძულებზე.

ასეა თუ ისე, ნაკრებმა ევროშესარჩევი უნდა ჩაამთავროს. ჩაამთავრებს ალბათ ისევ გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვა. თუმცა, თუ ჩვენი 21 წლამდე ნაკრების შემადგენლობას გადავხედავთ, არაა გამორიცხული, გეგუჩაძე ერთი კვირის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი არ იყოს.

ამ „პესიმისტურ“ განწყობაზე არ ვიქნებოდით, ახალგაზრდული ნაკრების რომ გვჯეროდეს, უფრო სწორად, იმ შემადგენლობის, რომელიც 10 და 14 ნოემბერს ფინეთსა და ლიტვას უმასპინძლებს.

ნაკრები უკვე შეკრებაზეა. მწვრთნელებს თავდაპირველად გამოძახებულ ფეხბურთელებში იძულებითი ცვლილებების განხორციელება მოუხდათ: რომან ჩაჩუა, გიორგი ხარაიშვილი და გიორგი ზარია, გიორგი ჩაკვეტაძის დარად, ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან გუნდს.

სამაგიეროდ, ნაკრებშია გიორგი არაბიძე, რომელიც თავდაპირველად არ იყო გამოძახებული. ამჟამად გია გეგუჩაძის განკარგულებაში 23 ფეხბურთელია:

მეკარეები: ლაზარე კუპატაძე, ოთო გოშაძე (ორივე საბურთალო), ლევან შოვნაძე (დინამო ბთ);

მცველები: გრიგოლ ჩაბრაძე, ცოტნე ნადარაია, გაგი მარგველაშვილი (ყველა საბურთალო), ლუკა ლოლაშვილი (დინამო, უკრაინა), ჯემალ ტაბიძე (უფა, რუსეთი), აკაკი შულაია, დავით კობოური (ორივე დინამო თბ), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო);

ნახევარმცველები: ვლადიმერ მამუჩაშვილი (საბურთალო), ნიკოლოზ ბაშალეიშვილი (თელავი), ლადო მოხევიშვილი (ალკოიანო, ესპანეთი), ოთარ კიტეიშვილი, ბექა მიქელთაძე (ორივე დინამო თბ.), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა);

თავდამსხმელები: რომან ჭანტურია (პრატო, იტალია), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (ლოკომოტივი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა);

ოლიმპიადაზე რუსული ჰიმნის აკრძალვაზე დაფიქრდნენ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა საბჭომ, რომელიც 2017 წლის დეკემბერში შეიკრიბება, პიონჩანგის თამაშებში რუსეთის ოლიმპიური დელეგაციის დაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

სოკი-ი ელოდება საგამოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნას, რომელიც შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტის, სამუელ შმიდტის ხელმძღვანელობით რამდენიმე თვეა იკვლევს რუსეთში დოპინგის სახელმწიფო სისტემის არსებობაზე ადრე გავრცელებული სკანდალური ინფორმაციის ნამდვილობას.

აქამდე იყო ვერსია, რომ რუსი სპორტსმენების გარკვეული ნაწილი 2018 წლის ოლიმპიურ თამაშებში ნეიტრალური დროშით მიიღებდნენ მონაწილეობას. თუმცა, ისინი ასე გამოსვლას არ აპირებენ. როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალექსანდრე ჟუკოვმა განაცხადა, ასეთი ვარიანტი არც კი განიხილება.

– ჩვენი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია – რუსები ოლიმპიადაზე ნეიტრალური დროშის ქვეშ არ გამოვლენ. ისინი გამოვლენ მხოლოდ თავისი ქვეყნის სახელით, – ამბობს ჟუკოვი.

რამდენიმე დღის წინ ანალოგიური განცხადება გააკეთეს რუსმა ჰოკეისტებმა.

ამის გამო წარმოიშვა მეორე და კიდევ უფრო საინტერესო ვერსია – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2018 წლის ოლიმპიადაზე რუსეთის ჰიმნს აკრძალავს.

ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები დასჯის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ – რუსეთის ნაკრების არდაშვებას ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე. გარდა ამისა, მთელი ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას არ შესრულდება რუსეთის ეროვნული ჰიმნი.

ბარსელონა მეგატრანსფერებზე არ ფიქრობს

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონა ზამთარში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს გაიფორმებს, რომელთა დარეგისტრირება ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შესაძლებელი იქნება.

აქედან გამომდინარე, „ბლაუგრანასგან“ მეგატრანსფერს არ უნდა ველოდოთ. თუმცა, ინგლისური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩელსის მცველი, სესარ ასპილიკუეტა ბარსელონას ინტერესის სფეროშია.

ესპანური გრანდის სკაუტები 28 წლის ფეხბურთელს ლონდონელთა ბოლო შეხვედრებში აკვირდებოდნენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

რუსთავმა ბათუმში მოიგო, დელტამ სუპერლიგაში პირველად იმარჯვა

ბათუმი-რუსთავი 59:65
(14:14, 22:21, 10:18, 13:12)

ორივე გუნდს საკმაოდ კარგი ლეგიონერები ჰყავთ, შესაბამისად, ამბიციაც გააჩნიათ და მათი დაპირისპირება საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებდა.

მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შეხვედრის მესამე მეოთხედის გარდა, თამაში თანაბარი იყო და ქულა-ქულაში ბრძოლა მიდიოდა. მესამე 10 წუთეული კი რუსთაველთა უპირატესობითა და გამარჯვებით – 18:10 დასრულდა. მოპოვებული უპირატესობა ქვემოქართლელებმა წარმატებით შეინარჩუნეს და საბოლოოდ, ძალიან საჭირო გამარჯვებას მიაღწიეს – 65:59.

გამარჯვებულებს 18 ქულით ჯეკ კრუკმა ულიდერა. ტაირელ ნელსონის ანგარიშზე 10 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა. კიდევ ერთმა ლეგიონერმა – ბრაიან ბერნარდმა რუსთაველებს 12 ქულა შეაშველა. ბათუმში 14-14 ქულით სტეფან ანდრესევიჩი და სპენსერ კოლინსი გამოირჩნენ.

ოლიმპი-სოხუმი 97:88
(24:14, 27:17, 27:19, 19:38)

შეხვედრის საბოლოო ანგარიშში დიდი სხვაობა არაა, თუმცა მატჩი არ ყოფილა დაძაბული. ოლიმპელებმა ლიდერობა თავიდანვე რომ მოიპოვეს, მეოთხე პერიოდამდე ზრდიდნენ და მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე უპირატესობა 30 ქულამდე გაზარდეს.

ცხადი იყო, მატჩის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ და ოლიმპის უკრაინელმა მწვრთნელმა – ლეონიდ ივატინმა მოედნიდან ლიდერები გაიხმო. ამის შემდეგ სოხუმელებმა ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირეს, თუმცა მათ წარმატების მისაღწევად ელემენტარულად დრო არ დარჩათ.

აღსანიშნავია, რომ სოხუმს 2 ტრავმირებული ლეგიონერი – ბოგდან ბაიდა და მაკსიმ ლუცენკო აკლდათ. ისედაც, ამ გუნდს მიმდინარე სუპერლიგის 6 მატჩიდან მხოლოდ 1 მოგება ჰქონდა და ძირითადი ხუთეულის 2 წევრის დაკლებამ გვარიანად დაასუსტა. საბოლოოდ ოლიმპმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა.

ოლიმპში საუკეთესო იყო რევაზ როგავა, რომელმაც 33 ქულა და 6 პასი მიითვალა. 13 ქულა მარკ ოგდენის ანგარიშზეა, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილმა თავი 10 ქულას მოუყარა. მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დაამყარა სოხუმელთა ამერიკელმა ლეგიონერმა კვან უოლერმა, რომელმაც შეუცვლელად – 40 წუთი ითამაშა და 41 ქულა მიითვალა.

დელტა-კაკტუსი 91:60
(25:19, 25:17, 24:12, 17:12)

დებიუტანტმა მარნეულის დელტამ სუპერლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმა. ქვემო ქართლელებმა კაკტუსს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში უმასპინძლა და ისე მოუგო, წარმატების შანსი არ მიუცია.

ჩემპიონატის 6 წაგებით დაწყების შემდეგ მარნეულელებმა გამარჯვება დააგემოვნეს და ამაში თითოეულ მოთამაშეს საკუთარი წვლილი მიუძღვის. დელტამ გუნდურად ითამაშა და თამაშის სადავეებს თავიდანვე რომ დაეპატრონა, მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია. შორი სროლები თუ სწრაფი გარღვევები – მარნეულელებს ყველაფერი ხარისხიანად გამოსდიოდათ და შედეგსაც იმკიდნენ.

პირველი პერიოდი დელტამ 25:19 მოიგო, მეორე – 25:17, ხოლო მესამეში 24:12 იმარჯვა და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტა. ბოლო ათწუთეულის წინ ქვემოქართლელები 26 ქულით იგებდნენ და შეხვედრა სასურველ შედეგამდე იოლად მიიყვანეს. საბოლოოდ დელტამ 91:60 მოიგო და ქულებით სოხუმს გაუთანაბრდა.

მარნეულელებს ამერიკელმა ლეგიონერმა დეანდრე რეიმ 22 ქულით ულიდერა. 12-12 ქულა მიითვალეს ჯინ დონდუმელმა და ნიკ ნილმა. კაკტუსში 18 ქულით ბომბარდირი გახდა კრისტიან ჯონსონი. 16 ქულა დეანდრე პარკსის ანგარიშზე დაგროვდა.

სატუნირო ცხრილი:

1.ბათუმი	6	4	2	465:395	10
2.რუსთავი	6	4	2	505:460	10
3.ოლიმპი	6	4	2	500:459	10
4.ქუთაისი	5	4	1	413:392	9
5.დინამო	4	4	0	350:268	8
6.მგზავრები	6	2	4	450:507	8
7.დელტა	7	1	6	536:586	8
8.სოხუმი	7	1	6	532:607	8
9.კაკტუსი	5	2	3	345:418	7

ვინ დატოვებს მანჩესტერს – მოურინიოს სია მოსთხოვეს

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბრიტანული გამოცემა, ბიბისი სპორტის ცნობით, მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელობამ ჟოზე მოურინიოს შეატყობინა, რომ თუ იანვრის სატრანსფერო პერიოდში კლუბის გაძლიერება სურს, ამისათვის რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისება მოუწევს.

შეგახსენებთ, აგვისტოს ბოლოს ცნობილი გახდა, რომ იუნაიტედის წლიური შემოსავალი 13.5%-ით გაიზარდა გასულ სეზონთან შედარებით, რაც დაახლოებით 265 მილიონ გირვანქა სტერლინგის ტოლია. კლუბის მფლობელებს კი ამ მაჩვენებლის გაკონტროლება და გაზრდა სურთ, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ იუნაიტედი ახალი ფეხბურთელების ყიდვას შეეცდება, მაშინ კლუბს სხვა მოთამაშეები დატოვებენ.

გასასხვისებლად ერთ-ერთი პირველი კანდიდატი ლუკ შოუა, რომელიც იუნაიტედს 27 მილიონი გირვანქა დაუჯდა, თუმცა მისი ხშირი ტრავმიანობის შედეგად, ასე რომ ვთქვათ, კლუბი ფინანსური კუთხით დაზარალდა.

მთლიანობაში, მოურინიოს მანჩესტერში მისვლის შემდეგ კლუბი 16-მა მოთამაშემ დატოვა. ყველაზე მაღალი შემოსავალი იუნაიტედმა მემფის დეპაისა (22მლ.) და მორგან შნეიდერლინის (16მლ.) გაყიდვის შემდეგ მიიღო. გარდა ამისა, კლუბის გასავალმა სერიოზულად დაიწია მას შემდეგ, რაც უეინ რუნის და ბასტიან შვაინშტაიგერს გამოემშვიდობა.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ბოლო კვირაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა მარუან ფელაინის თურქეთში გადაბარგებაზე, რომელიც არსებული კონტრაქტის მიხედვით, ბოლო სეზონს ატარებს „ოლდ ტრაფორდზე“.

ბოლო დროს, ჟოზე მოურინომ არაერთხელ განაცხადა, რომ მარუანი მისთვის საჭირო ფეხბურთელია და მისი შენარჩუნება სურს, მაგრამ კლუბს და ფელაინს შორის კონტრაქტი არ განახლებულა. ფელაინი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება.

ვინ იქნებიან სხვა ფეხბურთელები, რომელთაც მანჩესტერთან დამშვიდობება მოუწევთ, ამას მოურინიო სეზონის მსვლელობისას გადაწყვეტს.

კეიტა ყალბი საბუთებისთვის დააჯარიმეს

გერმანიის ბუნდესლიგის კლუბის, ლაიფციგის ნახევარმცველ ნაბი კეიტას საკუთარ დღიურ ხელფასზე 50-ჯერ მეტის გადახდა მოუწევს იმის გამო, რომ გვინეური მართვის მოწმობა გააყალბა.

22 წლის ნახევარმცველმა იმ მიზნით, რათა ევროპული მართვის მოწმობით ესარგებლა, რომელიც მას გერმანიაში მართვის უფლებას მისცემდა, ყალბი გვინეური დოკუმენტი წარადგინა.

შედეგად, მას სასამართლომ 415.000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა, რაც მის დღიურ შემოსავალზე, 8.300 ევროზე 50-ჯერ მეტია.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ავტომობილის მართვის წესების დარღვევისას სამართალდამრღვევს ჯარიმა დაეკისრება საკუთარი შემოსავლის მიხედვით.

კეიტა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს, თუმცა ცოტაა იმის შანსი, რომ მისი საჩივარი დაკმაყოფილდეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ნაბი კეიტა სეზონის ბოლოს ლივერპულის ფეხბურთელი გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ალეკო ელისაშვილის „თბილისის თავგადასავალი“ გზამკვლევი თბილისის მკვლევრებისთვის

9 ნოემბრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება ალექსანდრე ელისაშვილის „თბილისის თავგადასავალი“

„თბილისის თავგადასავალი“ ალექსანდრე ელისაშვილის მეორე წიგნია, რომელიც თბილისის შესახებ დაწერა და გამომცემლობა „ინტელექტმა“ ცოტა ხნის წინ გამოსცა.

წიგნი თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ბაზად, სადაც თავმოყრილია თბილისის ინფრასტრუქტურის, ხიდების, ტრანსპორტის, უბნებისა და გამწვანების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მკითხველს საქართველოს დედაქალაქის უკეთ გაცნობაში და მით უფრო, თბილისის მკვლევრებს, მიიღონ ყველა ცნობა ქალაქზე ერთი წყაროდან.

წიგნს ერთვის უნიკალური ფოტომასალა ძველი თბილისისა, სადაც ნათლად ჩანს, როგორ შეიცვალა დედაქალაქის ურბანული გარემო დროთა განმავლობაში სხვადასხვა მმართველისა თუ პოლიტიკური წყობის პირობებში.

– რატომ გადაწყვიტეთ ამ წიგნის დაწერა?

– პირველი: თბილისის შესახებ წიგნებს რომ ვკითხულობდი, ერთი წიგნი მაკლდა ყოველთვის. ის, რომელიც არ იქნებოდა დაწერილი, როგორც უმრავლესობა – საბჭოთა კონიუნქტურით, აუცილებლად მარქსისა და ლენინის ციტატით რომ იწყებოდა და მათი იდეებიც რომ გასდევდა შიგადაშიგ. ამ წიგნებში რაღაცების მიჩუმათება ხდებოდა, მნიშვნელოვან ამბებს ავტორები გვერდს უვლიდნენ. არც ჩვენს დროში დაწერილა საბჭოთა დროს მომხდარი ამბები, არ აღწერილა...

მეორე: როცა ვკითხულობ წიგნებს თბილისის ისტორიაზე, იქ გადმოცემულია, ძირითადად, პოლიტიკური ისტორია. საერთოდ ვერ შეხვდებით, მაგალითად, თბილისის ინფრასტრუქტურის ისტორიას. ამის გასაგებად მიწევდა სხვადასხვა წიგნსა და ავტორთან ძიება. ასეა ყველა საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ზოგ წიგნში მოცემული ინფორმაცია უკვე მოძველებულია. მაგალითად, წიგნის გამოცემის შემდეგ დაინგრა ან აშენდა შენობები, ხიდები...

მოკლედ, ერთიანი ცნობები, თბილისის ურბანული ისტორიის შესახებ, ერთად თავმოყრილი, ვერსად ვიპოვე. ასეთი წიგნი ძალიან მაკლდა. მინდა, რომ ეს დანაკლისი სხვებს ამ წიგნით აუნაზღაურდეთ.

– ძირითადად რა საკითხებზე გაამახვილეთ აქცენტი ამ წიგნში?

– მაგალითად, როგორ გაჩნდა თბილისი. ჩვენ ვიცით ლეგენდა გორგასალზე, ხოხობსა და მიმინოზე, მაგრამ ეს არის ლეგენდა. ყველას ურჩევნია ამ ლეგენდის მოყოლა, მაგრამ რეალურად, გორგასლამდე არსებობდა ეს ქალაქი და მან უბრალოდ დედაქალაქი გადმოიტანა აქ. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ლეგენდა და თავსაც უნდა ვიწონებდეთ, მაგრამ რეალური, ისტორიული ფაქტების ცოდნაც აუცილებელია.

– წიგნი არის მათთვის...

– ვისაც თბილისი აინტერესებს. და მინდა, რომ თბილისით დაინტერესებული მკითხველისთვის ეს წიგნი ერთ-ერთი პირველი იყოს – რომ მარტივად, ზედმეტი ცნობებითა და ფაქტებით გაუჯერებელი ტექსტი დახვდეს, რაც მას ამ ქალაქის კვლევის საწყის გზას გაუმარტივებს.

– წიგნი ეძღვნება თქვენი ბავშვობის მეგობარს ელე ბაირამოვა-ადამაშვილს...

– ელე ჩემი კლასელი და ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო. თავდაუზოგავად შრომობდა ყველასთვის, ვისაც სჭირდებოდა. ამ წიგნის მომზადებაშიც მეხმარებოდა თავის დროზე.

– რას ნიშნავს თქვენთვის თბილისი?

– ჩემთვის თბილისი არის სივრცე, რომელსაც მინდა მოვუარო და რომელიც მინდა გავხადო უკეთესი.

ერთხელ, სტუდენტობისას ბუკინისტებთან გადავწყდი წიგნს სათაურით „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ავტორი: იოსებ გრიშაშვილი. მანამდე არ წამეკითხა, სათაურიც ისეთი პროვოკაციული იყო!.. ჰოდა, ამ წიგნში ბოჰემის გარდა იყო საიათნოვა, თავისუფლების მოედნისა და ბარათაშვილის აღმართის ისტორიაც... და მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა, არ მცოდნოდა ეს ქალაქი უფრო კარგად. ამ წიგნმა შემარცხვინა, მაგრძნობინა: ასეთი ქალაქის მოქალაქე ხარ და როგორ არ გრცხვენია, რომ არ იცი ამის შესახებო?! ამის შემდეგ დავიწყე ბიბლიოთეკაში სიარული და კვლევა-ძიება, რათა მეტი გამეგო თბილისზე.

– სამომავლოდ...

– ვაგრძელებ თანამშრომლობას გამომცემლობებთან – „ინტელექტთან“ და „არტანუჯთან“, რადგან ისევ ვაპირებ სხვა წიგნის დაწერას, სადაც უკვე თავს მოიყრის ამბები თბილისის შესახებ, ადამიანური ისტორიები, ტრადიციები თუ სხვადასხვა რიტუალი... მოკლედ, ყველაფერი, რაც თბილისს უკავშირდება.

ესაუბრა თაკო სონღულაშვილი

სპორტი

ბეილი და ბენზემა რეალიდან წასვლის კანდიდატები არიან

ბრიტანულ გამოცემებზე დაყრდნობით, მერსისაიდული ლივერპული ძალიან სერიოზულ ამოცანას შეეჭიდა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გარეთ ბეილის შესაძენი სახსრები მოიზიდოს...

საქმე ისაა, რომ მერსისაიდულ კლუბს არც ისე დიდი ბიუჯეტი აქვს და უელსელში 100 მილიონის გადახდა არ შეუძლია, ამიტომ ლივერპულელებმა საქმეში დონორი კომპანიები ჩართეს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალთან საკმაოდ ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

ინგლისელების ცნობით, ბეილის „ენფილდზე“ გადასვლის შანსი ძალიან დიდია.

თუმცა, საპირისპიროს ავრცელებს ესპანური მედია: გაზეთ მარკას ინფორმაციით, რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი ბეილსა და მის აგენტს შეხვდა და მხარეებმა სამომავლო გეგმები დასახეს.

გარეთმა განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც, სიტუაცია ამჟამად დაძაბულია და თუ ასე გაგრძელდება, კლუბის დატოვებს მოუწევს.

პერესმა უელსელს მხარდაჭერა გამოუცხადა, პრეზიდენტმა ფეხბურთელთან პირისპირ ისაუბრა და დაადასტურა, რომ ბეილი რეალის გეგმებში შედის და ის წლების მანძილზე არსად წავა.

ერთია, ეს სიტუაცია არაფერს ცვლის და ბეილის რეალიდან წასვლა გამორიცხული არ არის...

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც დიდი შანსია რეალი დატოვოს, ქარიმ ბენზემაა. ფრანგულ გამოცემებზე დაყრდნობით, ბენზემას დღეები მადრიდულ კლუბში დათვლილია.

ფრანგი თავდამსხმელის პასიურობა პერესისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მეტიც, ესპანელი პრეზიდენტი კარიმის შემცვლელს აქტიურად ეძებს. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბენზემას მომავალი კლუბი შესაძლოა პრემიერლიგის იყოს. კერძოდ კი, საუბარია ლონდონის არსენალზე, რომელსაც ქარიმის ვარიანტი ძალიან ხიბლავს.

გარდა „მეთოფეებისა“, ბენზემაზე პრეტენზიას მილანის ხელმძღვანელობაც აცხადებს.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ბარსელონა მეგატრანსფერებზე არ ფიქრობს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სავსებით მოსალოდნელია, რომ „ბლაუგრანა“ ახლო მომავალში „არისტოკრატებს“ წინადადებით მიმართავს. ასპილიკუეტას მიმართ ბარსას ინტერესის შესახებ გამოცემები ადრეც წერდნენ.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბარსელონა კორინთიანსის ახალგაზრდა ბრაზილიელი მცველის, გილერმე არანას შეძენითაა დაინტერესებული. 20 წლის ფეხბურთელი მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე სეზონში გამოჩნდა და ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზეც მიიღო მონაწილეობა. მან კარგი თამაშით თავი უკვე ბევრ კლუბს მოაწონა, მათ შორის ესპანურ კლუბებს – სევილიასა და მადრიდის ატლეტიკოს. არანას მადრიდის რეალის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს, მარსელოს ადარებენ.

როგორც კორინთიანსის პრეზიდენტი რობერტო დე ანდრადე აცხადებს, მისი გუნდი ფინანსურ კრიზისს განიცდის და ნიჭიერი ფეხბურთელის გაყიდვაზე თანახმა იქნება.

ბარსელონას ხელმძღვანელობა დაინტერესებულია აიაქსის მცველი, მატიას დე ლიგტი შეიძინოს, მაგრამ რაც შეიძლება იაფად.

ჰოლანდიური გრანდი 18 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს ითხოვს, „ლურჯ-ბროწეულისფრები“ კი იმედოვნებენ, რომ პერსპექტიულ მცველს 25 მილიონ ევროდ გაიფორმებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

9 ნოემბერი

ვერძი – საოჯახო საქმეები დღესვე მოაწესრიგეთ. გამოიყენეთ ახლობლებისა და მეგობრების გამოცდილება. ** კურო** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. ძვირადღირებულ ნივთს ნუ შეიძენთ. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. შემოთავაზებული წინადადება კარგად გააანალიზეთ. **კირჩხიბი** – პატივმოყვარეობა შესაძლოა სიჯიუტეში გადაიზარდოს. იყავით ქველმოქმედი. **ლომი** – მეტისმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. ურთიერთობა მხოლოდ საიმედო პარტნიორებთან იქონიეთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების ირწმუნეთ. წარმატებას მხოლოდ თავდაჯერებულობა და კეთილსინდისიერი შრომა მოგიტანთ. **სასწორი** – შინაგანად დაძაბული ხართ, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. დაკავდით სპორტით და ნეგატიური ენერგიისაგან გათავისუფლდით. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. ძალზე იღბლიანი დღეა. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. ნებისმიერ სიტუაციაში თავს ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში. **თხის რქა** – დასახულ მიზანს აღწევთ. გამორიცხული არ არის კონფლიქტი გარშემომყოფებთან. **მერწყული** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. დაეყრდენით ინტუიციას. **თევზები** – არსებულ ვითარებაში გარკვევა გიჭირთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. ცნობილი ახალზელანდიელი რაგბისტი; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. დაბალი ხარისხის ვერცხლი ხურდა ფულის დასამზადებლად; 16. ავსტრიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი.

თარაზულად: 1. მინერალური წყალი გურიაში; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 10. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 11. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 15. კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 17. ნივრის სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მხალად; 18. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 20. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოპაკაბანა; 2. სქოლიო; 3. კარიესი; 4. ჩაქვი; 5. ხიროსიმა; 6. გესლი; 7. მენზულა; 9. ტენორი; 13. პორტო; 17. რიყე; 18. გოა.

თარაზულად: 1. კომპასი; 3. კუბაჩი; 8. ჰიმენე; 10. პლატინა; 11. რკონი; 12. ფიურსტი; 14. იბერია; 15. კეიტონი; 16. მარკა; 19. კატარი; 20. ჯანაშია; 21. ანდები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქაშაყი; 2. იოდი; 3. სეფედროშა; 4. ნივეა; 5. მანტისა; 8. აცტეკა; 9. პალესტინა; 12. ხვიფლი; 14. ბაკენი; 16. იბიცა.

თარაზულად: 1. ქიმერიონი; 6. ნემეზიდა; 7. შეპარდი; 9. პანედა; 10. ლაპი; 11. ფეოდალი; 13. ფობია; 15. ავღანი; 17. ბალზაკი; 18. ოფორტი; 19. აფონია; 20. ბავარია.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ მეტროსა და ავტობუსებში დაარიგეს

ილია ჭავჭავაძის 180 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაზეთ „ივერიის“ სპეციალური გამოცემა, 1909 წლის 6 ივლისის ნომრის ერთი გვერდი დაიბეჭდა.

სპეციალური გამოცემა თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა და სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებმა მეტროპოლიტენის და მუნიციპალური ავტობუსების მგზავრებს დაურიგეს.



გაზეთი „ივერია“ თბილისში 1877 წლის 3 მარტს პირველად გამოვიდა. ეს იყო მთავარი პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, რომელიც ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდა. მისი დამაარსებელი ილია ჭავჭავაძე იყო.

1879-1885 წლებში „ივერია“ ჟურნალის სახით გამოდიოდა, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

„ივერია“ ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეს და ასახავდა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, ისე მისი რედაქტორისა და თანამშრომლების განმანათლებლურ იდეებს.

გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს.

ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას.

განსაკუთრებულია „ივერიის“ როლი ქართული მწერლობის განვითარებაში. სხვადასხვა დროს გაზეთში გამოქვეყნდა დიდი ქართველი მწერლების აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აღექსანდრე ყაზბეგის, ნიკო ღოღობერის, ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

2017 წელი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელია. მისი დაბადებიდან 180 წელი აღინიშნება, ხოლო მკვლელობიდან 110 წელი შესრულდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა

2017 წელს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივის“ შვილობილმა ორგანიზაციამ „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი“ დააარსა ყოველწლიური საპატიო ჯილდო „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია – საზოგადოების-ერის განვითარებაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის“.

პრემია მოიცავს ოფიციალურ სიგელს და ილია ჭავჭავაძის სკულპტურას, რომელიც შექმნილია მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ. ჯილდოს ლაურეატის გამოსავლენად „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა“ შექმნა პრემიის მინიჭების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები სარეკომენდაციო საბჭო, რომელიც გამოავლენს ჯილდოს წლის ლაურეატს.

პრემია წელს სწორედ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში პირველად გაიცა. დაჯილდოების ცერემონია საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა.

როგორც ფონდის წარმომადგენლები აცხადებენ, „ჯილდოს დაარსების მიზანია, საზოგადოებრივი ინიციატივების პრიორიტეტულობის დამკვიდრების და მათდამი ინტერესის სტიმულირება, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან ეროვნული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მოტივაციის ამაღლება, ილია ჭავჭავაძის ფიგურის აქცენტირება დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სოციო-კულტურულ პროცესებში.“

ილია ჭავჭავაძის რიგით მეორე პრემია მომავალ წელს უკვე 12 სექტემბერს, ილიას მკვლელობის დღეს გაიცემა.

ნიკოლოზ წულუკიძე: „ყველა ქართველმა უნდა იპოვოს თავისი ილია ჭავჭავაძე!“

თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილეს ეხმაურება და ილია ჭავჭავაძის როლზე ქართული თეატრის აღდგენის საკითხში ერთ-ერთ ისტორიას იხსენებს:



– ილია ჭავჭავაძემ სპეციალურად ისწავლა ინგლისური, რომ შექსპირის „მეფე ლირი“ ეთარგმნა ივანე მაჩაბელთან ერთად, თვითონვე იყო ლირის როლის პირველი შემსრულებელი საქართველოში.

ამით თეატრის პოპულარიზაციასთან ერთად, ქართული ენის გადარჩენას შეუწყო ხელი. თეატრის აღდგენის იდეით შეშინებულმა რუსმა ჩინოვნიკებმა გამოსცეს დადგენილება – „საზოგადოების თავშეყრის ადგილებში აიკრძალოს ქართულად ლაპარაკი! თავშეყრად ითვლება თუ არის ორი ან მეტი ადამიანი.“

ამრიგად, პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოში ქართულად ლაპარაკი აკრძალეს! ილიამ აქაც მოიფიქრა გამოსავალი, სპექტაკლი წარმოადგინეს ცოცხალი სურათების სახით, ანუ მუნჯურად, შეაკერინა დიდი ბიაზის ოთახი, დადგა სცენის კუთხეში და დასვა ბარბარე ჯორჯაძე, რომელიც ხმამაღლა კითხულობდა იმ ტექსტს, რისი შესატყვისი მოქმედება ვითარდებოდა სცენაზე.

დარბაზში შემოვარდა გაშმაგებული ჟანდარმერია, არტისტების დასაჭერად, რაზეც ილიამ მიუგო, დადგენილებაში წერია ორი ან მეტი ადამიანი, ბარბარე კი თავისთვის ზის ოთახში და ხმამაღლა კითხულობს „მეფე ლირსო“.

სწორედ ილიას თაოსნობით აღდგა და გაიხსნა ქართული თეატრი 1879 წელს ბარბარე ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი და რა ვიპოვნე“.

პ.ს. ყველა ქართველმა უნდა იპოვოს თავისი ილია ჭავჭავაძე!

ია ფარულავა ეროვნული საგანძურის საპატიო წოდების შექმნის ინიციატივით გამოდის



მსახიობი ია ფარულავა ეროვნული საგანძურის საპატიო წოდების შექმნის ინიციატივით გამოდის და იაპონიის მაგალითის საქართველოში დამკვიდრების მომხრეა.

ია ფარულავა:

– იდეა მაქვს, შემოვიღოთ იაპონიის მაგალითი და შევქმნათ ეროვნული საგანძურის საპატიო წოდება ღირსეულ ადამიანებზე, მეც მომანიჭეთ მამენტ, არ ვარ თუ?

ბეტ ჰარტი საქართველოში ჩამოდის

ბლუზის ლეგენდა ბეტ ჰარტი საქართველოში მესამედ ჩამოვა და ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე კონცერტს გამართავს.

ბეთ ჰარტი თბილისში კონცერტს 18 ნოემბერს გამართავს. კონცერტისთვის განკუთვნილი ორსაათიანი პროგრამა ახალ ალბომში შესული კომპოზიციებით არის შედგენილი.

ცნობილი ამერიკელი მომღერალი თბილისში „ალტერ ვიჟენ ჯგუფის“ მოწვევით ჩამოდის. კონცერტზე დასასწრები ბილეთები ორგანიზატორებმა სამ ეტაპად გაყიდეს. 40 და 60 ლარიანი ბილეთები უკვე სრულად გაყიდულია. კონცერტზე დასასწრები მხოლოდ 70 ლარიანი ბილეთებია დარჩენილი და მათი რაოდენობაც შეზღუდულია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე მადონა, შვილები ლევანი, ზურაბი, ძმა ზურაბი, შვილიშვილიშვილები მადონა, ლუკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ნაროუშვილი

პანაშვიდი: 9, 10 ნოემბერს.
დაკრძალვა: შაბათს, 11 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ნუცუბიძის ქ. №215, III სადარბაზო, III სართული.



მირიან თოფჩიშვილი, ერეკლე გამყრელიძე, დავით შენგელია, მიხეილ კაკაბაძე, გიორგი ჭიჭინაძე და ფერანდო მაისაძე, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ცნობილი ვულკანოლოგი, უკეთილშობილესი პიროვნება

გურამ ნადარეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

დეიდა რაისა გვარამია, შვილებით: ინეზა, ირა, დალი, ნინო, სიძეები: ვახტანგ ლომია, რევაზ წარია, პეტრე ბერაია შვილებით, რძლებით მწუხარებას გამოთქვამენ

გიზო მირგატიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

ჯანსუღ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოხატავს ჭეშმარიტად სახალხო პოეტის, ვაჟკაცური სულისკვეთების დიდი ქართველი მამულიშვილის

ჯანსუღ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და მის ყველა თაყვანისმცემელს.

საზოგადოების წევრები: ფრიდონ ინჯია, გურამ შენგელია, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, ოთარ გოგიტიძე, თამაზ ჯალაღანია, რეზო სულავა, თემურ თავაძე, ნიკო ასათიანი, თეიმურაზ ბერიშვილი, ემზარ ნიკოლაძე, იაგო შიოლაშვილი

საზოგადოება „ლეჩხუმის“ გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველის, სახელოვანი პოეტის, ყოველმხრივ ღირსეული მამულიშვილის

ჯანსუღ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ხუთშაბათი 9 ნოემბერი

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.00** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**" **02.50** მხ/ფ "**მესამე პერსონა**" **05.15** მხ/ფ "**სიყვარული ზომების გარეშე**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ბზარი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv ვირტელი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00, 6.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **09.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00** მხ/ფ "**ბარბაროსი კონანი**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 4**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-5**" **21.00** სერ. "**სპირალი 5**" **22.30** მხ/ფ "**მანოლეტე**" **00.30** მხ/ფ "**ანგელოზების ქალაქი**" **02.30** მხ/ფ "**მოსამსახურე**" **05.00** მხ/ფ "**ღამეები როდანში**" **06.30** მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**"

ივერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00**სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.40** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** მხ/ფ "**რბოლისთვის დაბადებული**"

06.15 მოკ. მხ/ფ "**ალაპერდობა**" **06.25** მუს. პაუზა **06.40** სამყაროს შექმნა **06.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **07.25** ქართული ალბომი **07.50** პატერიკი-ალსარებით ცოდვათა მიტევების შესახებ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-აფრიკა-დიდი ტბების რეგიონი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** დ/ფ "გაყინული ჩანჩქერები" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **1** სერ. **13.20** ან/ფ "მულანი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "გოგრის სუში და ქათმის რულეტი ისპანახით" **15.40** კონცერტი **16.50** ქრისტიანული ხელოვნება "რელიეფის ხელოვნება" **17.30** საქართველოს ქალაქები "თელავი" **1 18.10** ბავშვები მუზეუმში "ეთნოგრაფიის მუზეუმი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **2** სერ. **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "ობოლი სული-ივანე მაჩაბელი" **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ძველი აფიშა "ჩვენი პატარა ქალაქი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ალექსანდრე ბასილაია" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ნოემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6008
- ევრო — 3.0081
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4195
- 100 რუსული რუბლი — 4.4244

ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისთვის

9 ნოემბრიდან



ალექსანდრე ელისაშვილი
თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

14 ნოემბრიდან

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკულმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ჯორდან ჰენდერსონმა მამის ავადმყოფობაზე ისაუბრა



ლივერპულის კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა ის დრო გაიხსენა, როდესაც მამის ავადმყოფობაზე გაიგო და ამან მასზე დიდი გავლენა მოახდინა. „2013 წლის ბოლოს მამამ გვითხრა, რომ მას ყელის კიბო ჰქონდა. ამის შემდეგ თამაშის წინ სულ მასზე ვფიქრობდი და ვცდილობდი, რომ მას ჩემით ეამაყა. საბედნიეროდ მან დაძლია ეს ავადმყოფობა და დღეს ის კარგად არის“, – განაცხადა ჯორდან ჰენდერსონმა. ჰენდერსონმა დაამატა, რომ მისთვის დიდი პატივია ლივერპულის კაპიტნობა და მომავალში ის შეეცდება, რომ თავის გუნდს კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს.

ხავიერ მასკერანო შესაძლოა არგენტინის ჩემპიონატში ვიხილოთ



ბარსელონას არგენტინელი მცველი ხავიერ მასკერანო სეზონის ბოლოს შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა არგენტინულ კლუბში გააგრძელოს. მასკერანოს თქმით, მას ბარსელონაში აღარ ეძლევა იმდენი სათამაშო პრაქტიკა, რაც ადრე, ამიტომ, ადრე თუ გვიან, მას კატალონიური გუნდიდან წასვლა მოუწევს. მასკერანოს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი არგენტინული კლუბი იწვევს მას, მაგრამ სავარაუდოდ, ეს რივერ პლეიტი იქნება, სადაც ხავიერმა ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გადადგა. მასკერანო ბარსელონაში 2010 წლიდან თამაშობს.

ლორან კოსიელნი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებიდან წავა



საფრანგეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ლორან კოსიელნიმ განაცხადა, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ის სანაკრებო კარიერას დაასრულებს. კოსიელნის თქმით, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და მას მხოლოდ საკუთარ კლუბზე სურს კონცენტრირება, რადგან ნაკრების თამაშებს დიდი ენერგია მიაქვს, ხოლო კოსიელნი უკვე 30 წლის არის. კოსიელნი ეროვნულ გუნდში 2011 წლიდან თამაშობს.

იუმორი

საგიუეთში პროფესორი გიუებს ლექციას უკითხავს დღევანდელი ცხოვრების უპირატესობაზე. ერთის გარდა, ყველა ტაშს უკრავს. ლექტორი მას ეკითხება:

– თქვენ რატომ არ მიკრავთ ტაშს?

– მე გიუი კი არა, ელექტრიკოსი ვარ!

●●●

ჭიჭიკია დილით ნაბახუსევი იღვიძებს და უცბად ხელი ქალის შიშველ სხეულზე მოუხვდება. ჭიჭიკია ქალს გადახედავს და ეკითხება:

– რომელი ხარ, შენ?

– ბელაია, ვარ, ბელაია, – პასუხობა ქალი.

– რომელი, გარიაჩკა, შე შობელძაღლო?

●●●

გაკვირვებული კაცი კითხულობს:

– ვინ ხართ?

– შენი ტვინი ვარ. აი, გავიგე, რომ შეყვარებული ხარ და დასამშვიდობებლად მოვედი...

●●●

– ყველას აქვს უცნაურობები.

– მაგრამ, თუ თქვენ არ გაქვთ უცნაურობები, მაშინ უცნაური ადამიანი ყოფილხართ.

●●●

გზაზე მიმავალი სატვირთო მანქანა მოსახვევში სწორად ვერ შევიდა, გზიდან გადავიდა და ერთ ძველ ქოხში შევარდა. ქოხში გაოგნებული მოხუცი ქალი ღუმელთან ზის და მზესუმზირას აკნატუნებს. მძღოლი არ დაიბნა და მოხუცს ეკითხება:

– ბებო, თბილისისკენ გზას ვერ მიმასწავლი?

– პირდაპირ, სამზარეულოს გაივლი და პირდაპირ წახვალ... – პასუხობს მოხუცი.

●●●

კლასში მასწავლებელი მოსწავლეებს „კაკო ყაჩაღიდან“ მონაკვეთს უკითხავს:

– მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი...

ამ დროს უკანა მერხზე მჯდომი პატარა მიხო მიაძახებს:

– აუ, რა კარგი სა.....რი იქნებოდით...

– ახლავე გაეთრიე და ხვალ სკოლაში მამაშენის გარეშე არ მოეთრიო! – დაუყვირა მასწავლებელმა.

მეორე დღეს პატარა მიხო სკოლაში მამასთან ერთად მივიდა. მასწავლებელმა უთხრა, რაც მოხდა. მამამ ახალგაზრდა მასწავლებელი კარგად აათვალ-ჩაათვალიერა, შვილს მიუბრუნდა, თავში ხელი წაუთაქა და ეუბნება:

– ახლა რა ცუდია, შე შობელძაღლო, შენა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 ნოემბრიდან

გაბრიელ ტანიე
ქანაანის შვილები

დათო ტურაშვილი ასე აფასებს გაბრიელ ტანიეს და მის „ქანაანის შვილებს“:

– ამ წიგნის ავტორს ახალგაზრდობაში შევხვდი. მაშინ მას სოსო გაჩავა ერქვა. მან თვითონ გააკეთა არჩევანი და სასულიერო პირი გახდა. წლების შემდეგ უკვე ფშავში ვნახე, ჩარგალში მოღვაწეობდა. ხევსურეთში იმ ზაფხულს ისეთი სიტყვები მოვისმინე ხევსურებისგან, სულაც არ მიკვირს ამ წიგნის ყდაზე მისი ხევსურული ფსევდონიმი. ტანიე პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს.

მამა იოსების ეს წიგნი სიყვარულისთვის დაწერილი რომანია და ამ წიგნის მკითხველებსაც დიდი სიამოვნება ელით.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

10 ნოემბრიდან



ანდრეს ინიესტა
შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

ნეიმარი უნაი ემერის მუშაობით უკმაყოფილოა

საფრანგეთის პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარი უკმაყოფილოა უნაი ემერის მუშაობით და მას ძლიერ მწვრთნელად არ მიიჩნევს. ბრაზილიელი ვარსკვლავი ყურს არ უგდებს ემერის დარიგებებს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ, ხოლო ემერი კი ნეიმარის განაწყენებას ერიდება, რადგან მას გუნდში დიდი ავტორიტეტი აქვს. არავინ იცის თუ რამდენად მართალია ეს ყველაფერი, მაგრამ თუ ნეიმარი ემერის დაუპირისპირდა, ეს პირველ რიგში პსჟ-ს თამაშზე მოახდენს უარყოფით გავლენას. ბუნებრივია, უნაი ემერი ამ ყველაფერს უარყოფს და ამბობს, რომ ეს უბრალოდ ჭორებია და მეტი არაფერი.

არდა ტურანი კარიერას გალათასარაიში გააგრძელებს

ბარსელონას თურქი ნახევარმცველი არდა ტურანი კარიერას გალათასარაიში გააგრძელებს, სადაც ის ზამთარში იჯარის წესით გადავა. გალათასარაიმ და ბარსელონამ უკვე ყველა დეტალი შეათანხმეს, ამიტომ ამ ტრანსფერს წინ აღარაფერი აღუდგება. წლევანდელ სეზონში ტურანი საერთოდ არ გამოსულა მოედანზე ბარსელონას მაისურით და ცხადი იყო, რომ კატალონიურ გუნდს მისი გაშვება სურდა. არდამ ბარსელონაში ორი სეზონი გაატარა და თავიდან ის წარმატებით ასპარეზობდა, თუმცა ერნესტო ვალვერდეს მოსვლის შემდეგ ის მოედანზე აღარ გამოჩენილა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ფრანგული მინერალური წყალი; 2. დაკოდილი მამალი ცხვარი; 3. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 4. ისტორიული ციხესიმაგრე ბათუმის მახლობლად; 5. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი; 6. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 7. გია დანელიას კინოკომედია; 9. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 17. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 18. ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 1. მოლაპარაკე ფრინველი; 3. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 8. მხარე ავსტრიაში; 10. მაღალი მორალური ადამიანური თვისება; 11. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 12. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 14. მისაღები თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 15. სიმღერის შესრულება მუსიკალური თანხლების გარეშე; 16. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 20. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 21. ცირკის არენა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა